

შპს „მარსი“-ს მიერ ორგანიზებული სამორინეს დებულება.

ნებართვა N19-04/69

- სამორინეს მოწყობის პირობები:

სამორინეს ორგანიზატორის შპს „მარსი“ საინდეტიფიკაციო ნომერი N 405099058.

სამორინე მოეწყობა, მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ყოველდღე 20:00 საათიდან 23:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) მისამართზე: ქ. წყალტუბო, სოფ. ქვიტირი, ნაკვეთი N 072-ზე არსებული შენობა-ნაგებობა N 05, N 06 და N 07-ის პირველი სართული, გაერთიანებული ფართი N 1 (ზონა 29, სექტორი 12, კვარტალი 36, ნაკვეთი 072).

შპს-ს „მარსი“-ს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. N5, სადარბაზო 2, სართ 2, საოფისე ფართი N2.

- ზოგადი დებულებანი

სამორინე მოეწყობა მისამართზე: ქ. წყალტუბო, სოფ. ქვიტირი, ნაკვეთი N 072-ზე არსებული შენობა-ნაგებობა N05, N06 და N07-ის პირველი სართული, გაერთიანებული ფართი N1.

- „ცოცხალი“ სამორინეს ადმინისტრაციული შენობის შიდა განლაგება და მოწყობის პირობები.

- სამორინეს შიდა განლაგება.

სამორინეს ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. წყალტუბო, სოფ. ქვიტირი, ნაკვეთი N 072-ზე არსებული შენობა-ნაგებობა N 05, N 06 და N 07-ის პირველი სართული, გაერთიანებული ფართი N1 შედგება კლიენტთა მომსახურების ზონისა და სამსახურებრივი სათავსოების ზონისაგან თითოეულისათვის ცალ-ცალკე შესასვლელით. კლიენტთა მომსახურების ზონაში განლაგება:

1. სათამაშო დარბაზი.

სათამაშო დარბაზი სამორინეს ის ნაწილია, სადაც ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული წესით განლაგებულია სათამაშო მოწყობილობა - სამორინეს კლიენტებისათვის და სამუშაო ადგილები - სამორინეს თანამშრომლებისათვის. სათამაშო დარბაზი უშუალოდ განკუთვნილია თამაშობების ჩასატარებლად. სამორინეს დარბაზი არ ჩანს შენობის გარეთა მხრიდან.

2. კლიენტებთან ფულადი ანგარიშწორების წარმოების სალარო.

იგი წარმოადგენს სპეციალურ იზოლირებულ ოთახს, რომელიც მოწყობილია სამორინეს დარბაზში, აღჭურვილია ჯავშნიანი ფანჯრით, საგანგაშო სიგნალით დაკავშირებულია შესაბამის დაცვის სამსახურთან და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სამორინეს სტუმართა კვებისა და დასვენებისათვის განკუთვნილი მცირე დარბაზი;

4. მისაღები ჰოლი.

სამსახურებრივი სათავსოების ზონაში განლაგება:

1. თანამშრომელთა დასასვენებელი ოთახი.

2. იზოლირებული ოთახი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთათვის,

რომელიც თვალყურს ადევნებენ სერვერზე მიმდინარე პროცესებს და აღნიშნულ ოთახში აწარმოებენ ვიდეოჩანეწერის დადაგენილი წესით შენახვას.

3. სეიფი.

ეს არის ოთახი, სადაც განთავსებულია სპეციალური სეიფი, რომელშიც ინახება სამორინეს საერთო ფულადი რეზერვი, მათ შორის სამორინეს სარეზერვო თანხა, რომელიც თითოეულ სათამაშო მაგიდაზე შეადგენს 10.000 ლარს. აღნიშნულ ოთახში ასევე ინახება სამორინეს შიდა დოკუმენტაცია და სხვა სამორინეს მოწყობისთვის საჭირო ინვენტარი.

4. პრეტენზიის განხილვის წესი

პრეტენზიები განიხილება ყოველდღე 20:00 საათიდან 23:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) მისამართზე: ქ. წყალტუბო, სოფ. ქვიტირი, ნაკვეთი N 072-ზე არსებული შენობა-ნაგებობა N 05, N 06 და N 07-ის პირველი სართული, გაერთიანებული ფართი N 1 (ზონა 29, სექტორი 12, კვარტალი 36, ნაკვეთი 072). განხილვის მეორე ეტაპის დასაწყებად, თამაშის დასრულებიდან 7

კალენდარული დღის განმავლობაში მომხმარებელი ვალდებულია შპს „მარსის“ დირექტორის სახელზე დაწერილი განცხადება წარმოადგინოს შპს „მარსი“-ს ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №5, ან გამოგზავნოს ფოსტით, ან ელ-ფოსტით მისამართზე: Info@crystalbet.com. შპს „მარსის“ ადმინისტრაცია პრეტენზიას განიხილავს მისი წარმოშობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და გადაწყვეტილებას აცნობებს მომხმარებელს მისი მიღებისთანავე წერილობითი სახით, განცხადებაში მითითებულ მისამართზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია აღარ განიხილება. თუ მომხმარებელს ეს პასუხიც არ დააკმაყოფილებს, მას წარმოეშვება უფლება მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მექანიზმებს დავის გადასაჭრელად.

5. უსაფრთხოების სისტემა და სამორინეში დაშვების წესები

სამორინეში, მისი ადმინისტრაციისა და დაცვის სამსახურის მიერ, უზრუნველყოფილია მოთამაშეთა და სამორინეს თანამშრომელთა უსაფრთხოება, დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი. სამორინე აკმაყოფილებს სანიტარულ, ჰიგიენურ და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს. პიროვნება, რომელიც სამორინეში ნებისმიერი ფორმით დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან/და საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეთა უსაფრთხოებას დაუყოვნებლივ გაძევებული იქნება სამორინედან, სადაც იგი აღარ დაიშვება. ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი რეაგირება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამორინეს შესასვლელში მოწყობილია სპეციალური ადგილი, სადაც სამორინეში შესვლის მსურველი პირი დაცვის სამსახურის თანამშრომლებს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას ან მოქალაქის პასპორტს. წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მომხმარებელი გადამოწმდება დამოკიდებულ პირთა სიაში და აკრძალულ პირთა სიაში, თუ აღნიშნული პირი სიაში არ იძებნება მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მისი სამორინეში გამართულ თამაშობებში დაშვება. წარდგენილი დოკუმენტის მონაცემები და პიროვნების ფოტოსურათი, რომლის გადაღება ხდება ადგილზე, აიტვირთება სამორინეს ინფორმაციულ ბაზაში. სამორინეს ინფორმაციულ ბაზაში ინახება ასევე პიროვნების სამორინეში/სამორინედან შესვლის/გასვლის თარიღი და დრო. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება არ ყოფილა შემჩნეული არაკეთილსინდისიერ ქმედებაში და ასაკობივად შესრულებული აქვს 25 წელი საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში, ხოლო 18 წელი უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, იგი დაიშვება სამორინეში.

სამორინეს დარბაზში, სალაროსთან, შემოსასვლელში და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. სამორინეს შენობაში, როგორც გარე, ასევე შიდა პერიმეტრზე ვიდეოჩაწერა მიმდინარეობს მუდმივად. ვიდეომეთვალყურეობის სისტემის საშუალებით მიმდინარეობს არამარტო ვიზუალური, კადრების, ასევე ხმოვანი მონაცემების ჩაწერა. ვიდეომეთვალყურეობის სისტემით გადმოცემულ მონაცემებს მთელი პერიოდის მანძილზე თვალყურს ადევნებენ, აკონტროლებენ და ჩანაწერების შენახვას აწარმოებენ სამორინეს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ჩანაწერები ინახება იზოლირებულ ოთახში, 30 კალენდარული დღის მანძილზე. ყოველივე აღნიშნულისთვის სამორინეში გამოყოფილია სპეციალური იზოლირებული ოთახი და დაცვის სამსახურის სპეციალური თანამშრომლები. სამორინეს ენერგო სისტემა უზრუნველყოფილია მუდმივი დენის წყაროთი.

• **სამორინეს მუშაობის წესები და მოქცევის წესები.**

სამორინეს ადმინისტრაცია შეეცდება შეინარჩუნოს სასიამოვნო და მყუდრო გარემო ყველა მომხმარებლისა თუ მუშაკისათვის, მაგრამ არ არის პასუხისმგებელი რომელიმე მოთამაშის საქციელზე.

სამორინეში დაუშვებელია შემდეგი ქმედებები: ფარული გარიგება სხვა მოთამაშესთან; სიტყვიერი ან ფიზიკური მუქარა ხელმძღვანელ ან მომუშავე პერსონალზე. კმათით, ყვირილით ან ხმაურით გამოწვეული უწესრიგობა. კარტის გასროლა, დახევა, გაღუნვა ან დაჭიმუქნა. ქონების განადგურება ან გაფუჭება. არალეგალური ნივთიერებების გამოყენება. იარღის ტარება. აკრძალულია შემდეგი ქმედებები:რიგგარეშე განზრახ ქმედება თამაშის დროს. ფიშკების განზრახ არევა ბანკში. სხვა მოთამაშის კარტის ნახვა შოუ-დაუნში სანამ ის მაგიდაზე დარიგდებოდა გადმობრუნებული სახით. ლაივ-ჰენდის (პარტია რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია ბანკის მოგება) შინაარსის გამოვლენა მრავალ წევრიან ბანკში ფსონის დადების პროცედურის დასრულებამდე. თამაშის მცდარი მიმართულებით წაყვანა. მოთამაშის შეხება ჩამოსულ ან იმ კარტებზე რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას თამაშში. კარტი უნდა იყოს რულეტის ხაზზე ქვემოთკენ განლაგებული, ზომიერი დაშორებით (არა დილეგის ხელებში ან ფიშკის ბადეში). ფიშკების სტეკის ფორმით ისე დაწყობა რომ შეუძლებელი გახდეს კარტის დარიგება ან ნახვა. ისეთი განცხადებების გაკეთება ან ისე მოქცევა რაც ზემოქმედებას მოახდენს თამაშის პროცესზე მიუხედავად იმისა წესრიგის დამრღვევი მონაწილეობს თუ არა ბანკში. მაგიდასთან ტელეფონით სარგებლობა.

სამორინეს ხელმძღვანელობა იტოვებს უფლებას მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილებები რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

რომელიმე წესის არასწორი ინტერპრეტაციის ან მოთამაშის მიერ რაიმე სახის არასწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დაწესებულება არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს საკუთარ თავზე.

საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია ბანკის დროსაც სანამ ხელახლა დარიგდება კარტი (ან სანამ თამაში დასრულდება ან გადაინაცვლებს სხვა მაგიდასთან). სხვა შემთხვევაში პარტიის შედეგი უნდა ჩაითვალოს კანონიერად. კარტის პირველი არევა ხელის დაწყების ნიშანია.

თუკი ბანკი უსამართლოდ გადაეცემა რომელიმე მოთამაშეს და არეული იქნება ფიშკებში, რომლებიც არ შედიოდა ბანკის შემადგენლობაში, აგრეთვე თუ წინა წესში მოცემული დროის ლიმიტი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე გათვალისწინებულია, ხელმძღვანელობას შეუძლია განსაზღვროს ბანკის შესაძლო ოდენობა ფსონის განახლებით და შემდეგ გადასცეს ის დამსახურებულ მოთამაშეს.

• **მოქცევის წესები:**

1. პარტია მხოლოდ ერთმა მოთამაშემ უნდა ითამაშოს.
2. არავის აქვს უფლება ითამაშოს სხვა მოთამაშის ფიშკებით.
3. ხელმძღვანელობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს როდის დაიწყოს ან დაასრულოს ნებისმიერი თამაში.
4. როცა მოთამაშე სათამაშო დარბაზიდან გადის და ტოვებს მაგიდას, ფული და ფიშკები შესაძლოა თან წაიღოს უსაფრთხოების მიზნით. იმ შემთხვევაში თუ მოთამაშეები მათი არ ყოფნის განმავლობაში მაგიდაზე ფულს ან ფიშკებს დატოვებენ, დაწესებულება არ იღებს პასუხისმგებლობას რაიმე დანაკლისზე ან ფიშკების გადადგილებაზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით დავიცვათ ყველა მოთამაშე. აღებული ფული თამაშის დაწყებისთანავე ხელახლა უნდა შემოვიდეს თამაშში.
5. თუკი თქვენ უბრუნდებით იმავე თამაშს ერთსაათიანი **ქეშ-აუტის (cashing out - თამაშის დატოვება და ფიშკების გადაცვლა ნაღდ ფულში)** შემდეგ, თქვენ **ბაი-ინ (buy-in - მინიმალური ფული თამაშში მონაწილეობის მისაღებად)** უნდა იყოს თამაშიდან გასვლისას არსებული თანხის თანაბარი.
6. ზურგსუკან თამაში (როცა გაქვთ ფიშკები მაგრამ არ შეგიძლიათ მათი გამოყენება ფიშკების ყიდვამდე) დაშვებულია იმ შემთხვევაში, როცა ელოდებით ნაყიდი ფიშკების მიღებას. თამაშში მონაწილე ფიშკების რაოდენობა ან „**ბაი ინ**“ (მინიმალური ფული რომელიც მონაწილეობას იღებს თამაშში) უნდა გამოცხადდეს მაგიდასთან.
7. სანამ მოთამაშე სათამაშოდ დაჯდება მანამ უნდა ითხოვოს ნებართვა.
8. ანტეს (პირველადი ფსონი) სხვისთვის გადაცემა აკრძალულია.
9. დაუშვებელია სადაზღვევო შემოთავაზებები. ბიგ ბეთ პოკერში (პოკერის სახეობა სადაც დიდი ფსონის დადება ხდება) ვა-ბანკის დროს ორჯერ ან (სამჯერ) დარიგება არ არის დაშვებული.
10. თუკი ორი ან ორზე მეტი მოთამაშე წინააღმდეგია, ფსონის დადების ლიმიტი არ შეიცვლება. ფსონის გაზრდის მოთხოვნა ხელმძღვანელობის მიერ უნდა იყოს დადასტურებული.
11. მოთამაშეებს კარტები ყველასთვის დასანახად უნდა ეჭიროთ, ამაში ის იგულისხმება რომ მაგიდის გასწვრივ უნდა ჩანდეს მათი კარტები და არა მის საზღვრებს მიღმა. მოთამაშემ კარტები მთლად არ უნდა ჩამალოს ხელებში.

12. ნებისმიერ მოთამაშეს უფლება აქვს ინფორმირებული იყოს ოპონენტის ფიშკების ოდენობის თაობაზე. მაღალი ღირებულების ფიშკები რაც შეიძლება კარგად უნდა ჩანდეს მაგიდასთან.
13. თუკი მოთამაშე მაგიდასთან არ იქნება 30 წუთის განმავლობაში შესაძლოა თავისი ფიშკები ალაგებული დახვდეს. მოთამაშეს შესაძლოა მეტი დრო მიეცეს დასვენებისთვის თუკი წინასწარ აცნობებს სუპერვიზორს ამის შესახებ. ხშირმა ან უწყვეტმა მაგიდის დატოვებამ შესაძლოა გამოიწვიოს მისი ფიშკების ალაგება მაგიდიდან.
14. დაკავებული ადგილი განთავისუფლება 5 წუთის შემდეგ თუკი ვინმეს სურს თამაში და ელოდება თავის რიგს. თუკი ვინმე ელოდება თამაშის დაწყებას 10 წუთში აუცილებლად უნდა ალაგდეს არმყოფი მოთამაშის ნივთები მაგიდიდან.
15. მთლიანი რაუნდის მანძილზე ახალი ბანქოს დასტა უნდა იქნას გამოყენებული და ახალი სახის წყობა გამოყენებულ უნდა იქნას მინიმუმ ერთი საათის მანძილზე, თუ ბანქოს დასტა არ არის დეფექტური, დაზიანებული ან დაზინძურებული. ჩამოსასვლელი კარტის ნახვა ან ბანქოს დასტის ნაწილის ნახვა არ არის დაშვებული.
16. პარტიის დასრულების შემდეგ დილერებს თხოვენ არ გაამხილონ რა კარტი დარიგდა. მოთამაშემ თვალყური უნდა ადევნოს თამაშის მსვლელობას და შეეცადოს ბანქოს მოგებას. მაგიდასთან თამაშის დროს აკრძალულია განხილვა (კამათი) და რაიმე პრობლემის წარმოშობისთანავე მოთამაშეს აუცილებლად მოთხოვენ შეწყვიტოს მსგავსი ქმედებები. პიროვნება რომელიც არ მონაწილეობს თამაშში აუცილებელი არ არის მაგიდასთან იჯდეს. უცხო ენაზე საუბარი კარტის დარიგების დროს აკრძალულია.

● **თამაშობათა სახეობები და სათამაშო ფსონები**

სამორინეს რეალურ შენობაში მოეწყობა 8 ცალი სათამაშო მაგიდა: 3 ცალი „რულეტის“ მაგიდა (აქედან 1 ცალი მაგიდა განკუთვნილია ინტენეტ-მოხმარებლებისთვის, კერძოდ რულეტის მაგიდა-CAMMEGH MERCURY 360, საქარხნო # 17-06-214-M7TF), 2 ცალი „ბლექ ჯეკის“ მაგიდა და 3 ცალი „პოკერის“ მაგიდა, (რომლებზეც მოთამაშეთა სურვილს მიხედვით შესაძლებელია შემდეგი თამაშების გამართვა, კერძოდ: ოაზის პოკერი, ტეხასური პოკერი, რუსული პოკერი).

ზემოთ მითითებული მაგიდებიდან:

რულეტის მაგიდა-CAMMEGH MERCURY 360, საქარხნო N 17-06-214-M7TF, დამზადებული: 2017 წელს, მწარმოებელი ქვეყანა დიდ ბრიტანეთი, მწარმოებელი კომპანია Cammegh LTD, რომელზეც მიმდინარეობს თამაშობა მდებარეობს სამორინეს ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ ოთახში, სადაც განთავსებულია ვიდეოკამერა (ვიდეოკადრი მიეწოდება ვებ-გვერდს www.crystalbet.com და აღნიშნული სამორინეს მაგიდა გამოიყენება, მხოლოდ და მხოლოდ ინტერნეტ-თამაშობაში მონაწილე პირებისთვის (რომლებიც ფსონს აკეთებენ ინტერნეტის საშუალებით) და არანაირად ცოცხალ სამორინეში მყოფი სტუმრებისთვის.

სათამაშო მაგიდებზე ტარდება რომელიმე ერთი კონკრეტული თამაშობა, მოთამაშესა (მოთამაშეებს) და სამორინეს შორის, სათამაშო ჟეტონების, სათამაშო ბორბლის, ბანქოს დასტისა და სხვა საშუალებებით, თამაშობის წესების შესაბამისად. სათამაშო მაგიდებზე თამაშის მიმდინარეობისას, ფულადი აღმნიშვნელის სახით გამოიყენება სათამაშო ჟეტონები (ფსონების მიღება და მოგვების გაცემა). სამორინეში, თამაშობებისათვის გამოიყენება 6 ტიპის სათამაშო ჟეტონი, რომლებზეც გამოსახულია რიცხვითი აღმნიშვნელი და თითოეული მათგანის თანხობრივი ღირებულება შემდეგნაირად ყალიბდება :

ჟეტონის, რიცხვითი აღმნიშვნელით `0.5` _ ღირებულება შეადგენს 0.5 ლარს; ჟეტონის, რიცხვითი აღმნიშვნელით `1` _ ღირებულება შეადგენს 1 ლარს; ჟეტონის, რიცხვითი აღმნიშვნელით `5` _ ღირებულება შეადგენს 5 ლარს; ჟეტონის, რიცხვითი აღმნიშვნელით `25` _ ღირებულება შეადგენს 25 ლარს; ჟეტონის, რიცხვითი აღმნიშვნელით `100` _ ღირებულება შეადგენს 100 ლარს; ჟეტონის, რიცხვითი აღმნიშვნელით `500` _ ღირებულება შეადგენს 500 ლარს;

ამასთანავე სამორინეში თამაშობებისათვის გამოიყენება 14 ცალი, 7 სხვადასხვა ფერის სათამაშო ჟეტონი, რომლებზეც არ არის გამოსახული რიცხვითი აღმნიშვნელი და თითოეული მათგანის თანხობრივ ღირებულებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს სამორინეს ადმინისტრაცია.

სამორინეში მოთამაშე თავდაპირველად იძენს სათამაშო ჟეტონებს და სამორინეს მოცემული დებულების შესაბამისად წარმართავს შემდგომ თამაშობებს.

• სამორინეს მაგიდების ჩამონათვალი:

სათამაშო მაგიდის სახელწოდება	თამაშის სახეობა	საქარხნ ნომერი	დამზადების წელი	დამამზადებელი ქვეყანა	მინიმალური ფსონი, მაქსიმალური ფსონი	მაქსიმალური მოგების ოდენობა	მოდიფიკაცია	წარმოებელი
1. რულეტის მაგიდა	რულეტი	# 00200	2005 წელი	თურქეთი	მინ. ფსონი 0,50 ლარი მაქს. ფსონი 50 ლარი.	მაქს. მოგების ოდენობა 21600 ლარი.	სათამაშო ბორბალი	Liberty LTD
2. რულეტის მაგიდა	რულეტი	# 00201	2005 წელი	თურქეთი	მინ. ფსონი 0,50 ლარი მაქს. ფსონი 50 ლარი.	მაქს. მოგების ოდენობა 21600 ლარი.	სათამაშო ბორბალი	Liberty LTD
3. ბლექჯეკის მაგიდა	ბლექჯეკი	# 22000	2005 წელი	თურქეთი	მინ. ფსონი 5 ლარი, მაქს. ფსონი 100 ლარი.	მაქს. მოგების ოდენობა 200 ლარი.	სათამაშო მაგიდა	Liberty LTD
4. ბლექჯეკის მაგიდა	ბლექჯეკი	# 22006	2005 წელი	თურქეთი	მინ. ფსონი 5 ლარი, მაქს. ფსონი 100 ლარი.	მაქს. მოგების ოდენობა 200 ლარი.	სათამაშო მაგიდა	Liberty LTD
5. პოკერის მაგიდა	პოკერი	# 22003	2005 წელი	თურქეთი	მინ. ფსონი 5 ლარი, მაქს. ფსონი 100 ლარი.	მაქს. მოგების ოდენობა 8000 ლარი.	სათამაშო მაგიდა	Liberty LTD
6. პოკერის მაგიდა	პოკერი	# 22004	2005 წელი	თურქეთი	მინ. ფსონი 5 ლარი, მაქს. ფსონი 100 ლარი.	მაქს. მოგების ოდენობა 8000 ლარი.	სათამაშო მაგიდა	Liberty LTD
7. პოკერის მაგიდა	პოკერი	# 22005	2005 წელი	თურქეთი	მინ. ფსონი 5 ლარი, მაქს. ფსონი 100 ლარი.	მაქს. მოგების ოდენობა 8000 ლარი.	სათამაშო მაგიდა	Liberty LTD

• **სამორინეს თამაშობათა მოკლე აღწერილობა**

❖ **რულეტის მაგიდა**

რულეტი არის მარტივად სასწავლი და ამავე დროს საინტერესო თამაში. ის გაძლევთ საშუალებას განათავსოთ თამაშში მრავალფეროვანი ფსონები და კომბინაციები. რულეტის ბორბალს გააჩნია 36 ციფრი 1-დან 36-ის ჩათვლით და ასევე 0. ყოველ ციფრს მინიჭებული აქვს სპეციალური ფერი- შავი და წითელი, ხოლო 0 აღნიშნულია მწვანედ.

თამაში იწყება მაშინ, როდესაც მოთამაშე ან მოთამაშეები განათავსებენ თავიანთ ფსონებს სპეციალური ციფრებით აღნიშნულ მაგიდაზე, რომელიც რეალურად ასახავს იგივე ციფრებს, რაც განთავსებულია რულეტის ბორბალზე. თამაშში ფსონების მიღების შეწყვეტის შემდეგ დილერი აგორებს თეთრ ბურთს რულეტის ბორბალის ტრიალის საწინააღმდეგო მიმართულებით. ფსონების მიიღება წყდება დილერის მხრიდან ბურთის გაგორების მომენტამდე. ამ დროს დილერი აცხადებს, რომ ფსონები აღარ მიიღება (no more bets) ეს ნიშნავს, რომ მოთამაშეებს აღარ აქვთ ფსონების დადების უფლება. ამის შემდეგ ბურთი ვარდება რომელიმე ციფრზე, რაც ნიშნავს რომ ეს ციფრი ამ გაგორებისთვის არის მომგებიანი, რომლის მიხედვითაც უკვე ფსონების პროპორციიდან გამომდინარე ხდება მოგებების გადახდა მოგებულ მოთამაშეებზე, ხოლო წაგებული მოთამაშეების თანხა ეკუთვნის კაზინოს.

რულეტის თამაშისას მოთამაშეები შეზღუდული არიან მინიმალური და მაქსიმალური ფსონის ოდენობებში, რაც ნიშნავს, რომ მოთამაშეებს არ შეუძლიათ კაზინოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ფსონზე დაბალი და მაქსიმალურ ფსონზე მაღალი ფსონის დადება. მინიმალური და მაქსიმალური ფსონები განისაზღვრება კაზინოს მიერ ინდივიდუალურად. ქვემოთ მოცემულია მაგალითი თუ რა პრინციპით ხდება მოგების გადახდა მოთამაშის მიერ დადებულ ფსონზე, თუ რატომაუნდა დაფიქსირდა მოთამაშისთვის სასურველი ციფრი:

ფსონი	ფსონზე გადახდა
ციფრი	35 : 1
2 - ციფრი (სპლიტი)	17 : 1
3 - ციფრი	11 : 1
4 - ციფრი (კუთხე)	8 : 1
6 - ციფრი	5 : 1
სექცია (12 ციფრი)	2 : 1
სვეტი (12 ციფრი)	2 : 1
1 - 18 ან 19 – 36	1 : 1
კენტი ან ლუწი	1 : 1
ფერი (შავი ან წითელი)	1 : 1

- 1 ციფრი - ეს არის ნებისმიერი ციფრი მაგიდაზე
- 2 ციფრი (სპლიტი) - ნიშნავს, რომ მოთამაშე დებს ფსონს 2 ციფრზე ერთდროულად ანუ მისი ფსონი იყოფა ორ ციფრზე თანაბრად და ნიშნავს რომ ბურთი ჩავარდება ამ ორი ციფრიდან ერთ-ერთში.
- 3 ციფრი - ნიშნავს, რომ მოთამაშეს შეუძლია ფსონი განათავსოს ერთმანეთის გვერდით მდებარე 3 ციფრზე ერთდროულად ანუ ფსონი იდება მათი გადაკვეთის ადგილას.
- 4 ციფრი (კორნერი) - ნიშნავს, რომ ფსონი იდება 4 ერთმანეთის გვერდით განლაგებული ციფრების საერთო შეხების ადგილას. მაგ: თუ ფსონს განათავსებთ 11, 12, 14, 15 ციფრების საერთო შეხების ადგილზე.
- 6 ციფრი - ნიშნავს, რომ ფსონი იდება ამ 6 ციფრიდან ერთ-ერთის მოსვლის ალბათობაზე. ამისათვის უნდა მონიშნოთ მაგიდის ბოლოში ორი 3 ციფრიანი სვეტის გადაკვეთის კუთხე და განათავსოთ თქვენთვის სასურველი ფსონი. (მაგ: 31, 32, 33, 34, 35, 36 ფსონის დადებისას ჩიპი დაიდება 31-ისა და 34-ის გადაკვეთის კუთხესთან)
- სექცია (12 ციფრი) - ამ ტიპის ფსონის დადებისთვის არსებობს სამი ვარიანტი. პირველი ეს არის - 12 ციფრიანი სექცია, რომელიც მოიცავს ციფრებს 1-დან 12 -ჩათვლით, მეორე - 12 ციფრიანი სექცია, რომელიც მოიცავს ციფრებს 13-იდან 24 - ჩათვლით და მესამე 12 ციფრიანი სექცია, რომელიც მოიცავს ციფრებს 25-იდან 36-ჩათვლით.
- სვეტი (12 ციფრი) - ამ ტიპის ფსონის დაკეთებისთვის რულეტზე არსებობს სამი გზა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მაგიდა დაყოფილია 3 სვეტად
- პირველი სვეტი: 1, 4, 7, 10, 13, 16, 19, 22, 25, 28, 31, 34
- მეორე სვეტი: 2, 5, 8, 11, 14, 17, 20, 23, 26, 29, 32, 35
- მესამე სვეტი: 3, 6, 9, 12, 15, 18, 21, 24, 27, 30, 33, 36
- ანუ მოთამაშე განათავსებს ფსონს იმის ალბათობაზე, რომ მისთვის სასურველი სვეტიდან ამოვა ერთ-ერთი ციფრი. 1-18 ან 19-36 - ნიშნავს, რომ ციფრი, რომელიც ამოვა, იქნება მითითებული შუალედიდან ერთ-ერთში.
- კენტი ან ლუწი - ნიშნავს, რომ ამოსული ციფრი იქნება კენტი ან ლუწი შავი ან წითელი - ნიშნავს, რომ ამოსული ციფერი იქნება შავი ან წითელი
- აღნიშნული თამაშობის მინიმალური ფსონია 0,50 ლარი, მაქსიმალური ფსონია 50 ლარი, ხოლო მაქსიმალური მოგების ოდენობა შეადგენს 21600 ლარს.**

❖ ბანქოს თამაშობა „ბლექჯეკი“

ბლექჯეკი წარმოადგენს ერთერთ პოპულარულ ბანქოს სახეობას.

ბლექჯეკის მიზანია ბანქოს სრული მოცულობის მოპოვება, რომელიც 21-თან მაქსიმალურად იქნება ახლოს ყოველგვარი გადასვლის გარეშე. თითოეული მოთამაშე თამაშობს დილერის წინააღმდეგ და იყენებს ე.წ. ჩიპებს, რომლებიც შეესაბამება გარკვეულ თანხას. მოთამაშე ათავსებს ფსონებს სპეციალურად მარკირებულ ნიშნულზე, რომელთაც „ყუთები“ (boxes) ეწოდებათ. ფსონი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული მაგიდის საჭირო მინიმუმს ან მაქსიმუმს.

- თუ მოთამაშის ქულები 21-ზე მეტია, მაშინ ფსონი წაგებულია. (მოთამაშის სასარგებლოდ).
- თუ დილერის ქულები 21-ზე მეტია, მაშინ ფსონი წაგებულია. (დილერის სასარგებლოდ).
- იგებს ნებისმიერი მოთამაშე თუ მისი ქულები 21-თან უფრო ახლოსაა, ვიდრე დილერისა. ამ შემთხვევაში ფსონის გადახდა ხდება 1:1;
- მოთამაშეები აგებენ თუ მათი ჯამური ქულა დილერის ქულებზე ნაკლებია.
- თუ მოთამაშეს აქვს იგივე კარტი, რაც დილერს, ამ პროცესს „პუშ“ „PUSH“ ქვია.
- დილერი ღებულობს თავის ბანქოს ყველა მოთამაშის შემდეგ და ანაწილებს 16-ზე ან ნაკლებზე და დგება 17-ზე.
- ტუზები ითვლება, როგორც 1 ან 11 ქულა, მაღალი კარტები როგორც- 10, ხოლო სხვა დანარჩენი კი - კარტების შესაბამისად.
- ბლექჯეკი არის კომბინაცია პირველი 2 კარტისა, რომელიც უდრის 21 (ე.ი. ტუზი და ათიანი, ან ტუზი და სხვა ნებისმიერი კარტი). ბლექჯეკი იხდის 3:2.
- ბლექჯეკი ამარცხებს 21.

„ჩაბარება“

მას შემდეგ რაც კარტები დანაწილდება ყუთებზე, მოთამაშეებს შეუძლიათ უარი თქვან თამაშის გაგრძელებაზე ნებისმიერ ყუთზე და ისინი აგებენ ფსონს. ეს შესაძლებელია, მანამ სანამ დარიგდება მესამე კარტი. ეს შეუძლებელია თუ დილერის კარტი არის ტუზი. დილერმა არ უნდა შესთავაზოს მოთამაშეებს „ჩაბარება“.

„დუბლი“

როცა მოთამაშე მიიღებს პირველ ორ კარტს, მაშინ შესაძლებელია ფსონის გაორმაგება. მიუხედავად ამისა, მას შეუძლია აიღოს კიდევ ერთი კარტი. გაორმაგება შესაძლებელია კარტის გაჭრის შემდეგაც. დილერმა არ უნდა შესთავაზოს მოთამაშეებს გაორმაგება.

„გაყოფა“

თუ პირველი ორი მოთამაშის კარტი ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ მათ შეუძლიათ დადონ იგივე მოცულობის მეორე ფსონი. თამაში გრძელდება ორ პარტიად. მოთამაშეს შეუძლია ერთ რაუნდზე სამჯერ გაყოფს (**splitting**) კარტი. თუ მოთამაშე წყვილ ტუზს გაყოფს, მას შეუძლია მიიღოს ერთი დამატებითი კარტი თითოეულ ტუზზე. თუ მოთამაშე გაყოფს ტუზებს და აიღებს 21 ქულას, ეს არ ჩაითვლება ბლექჯეკად, არამედ უბრალოდ 21 ქულად.

„დაზღვევა“

თუ დილერის პირველი კარტი არის ტუზი, მოთამაშეს შეუძლია დააზღვიოს თავისი ფსონი დილერის ბლექჯეკით. ამისათვის, მოთამაშე, მიიღებს რა პირველ ორ კარტს, დებს ფსონს, რომელიც არ აღემატება სრული თანხის ნახევარს. მინიმუმი სადაზღვევო ფსონისა უდრის კაზინოს ჩიპების მინიმუმს.

თუ დილერს არ აქვს ბლექჯეკი, დაზღვევა იხდის 1/2.

თუ დილერს აქვს ბლექჯეკი, მოთამაშე აგებს თავის დაზღვევას.

თუ მოთამაშეს აქვს ბლექჯეკი და დილერს პირველ კარტად აქვს ტუზი, ამ შემთხვევაში დილერმა უნდა შესთავაზოს „გადახდილი ვალის“ შესახებ. ეს ნიშნავს გადახდას 1:1.

„777“ სხვადასხვა ფერისა 3:1.

„777“ ერთნაირი ფერისა 5:1.

„678“ ერთნაირი ფერისა 5:1

თუ დილერი მიიღებს ბლექჯეკს, ხსენებული პარტიები წაგებულია.

„ყუთი“ (box)

ერთ ყუთზე შესაძლებელია დაიდოს სხვადასხვა მოთამაშის სამზე მეტი ფსონი. სრული ფსონი ამ ყუთზე არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული მაგიდის მაქსიმუმს. სხვა მონაწილეებმა, რომლებიც მონაწილეობენ „ყუთში“, არ უნდა მოახდინონ ზეგავლენა „მფლობელის“ გადაწყვეტილებებზე „ყუთში“ გაწევრიანების დროს. აკრძალულია თამაშის დროს კარტზე შეხება და ასევე ფსონის შეცვლა კარტის დარიგების შემდეგ. ფსონები ნაღდ ფულზე და კრედიტზე დაუშვებელია. ნებისმიერი დავას არეგულირებს მენეჯერი.

აღნიშნული თამაშობის მინიმალური ფსონია 5 ლარი, მაქსიმალური ფსონია 100 ლარი, ხოლო მაქსიმალური მოგების ოდენობა შეადგენს 200 ლარი.

❖ თამაშობა „პოკერი“

სამორინეს შენობაში მოწყობილია 3 ცალი „პოკერის“ მაგიდა საქარხნო # 22003, # 22004 და # 22005. ზემოთ მითითებული მაგიდეებიდან მოთამაშეთა სურვილს მიხედვით შესაძლებელია შემდეგი თამაშების გამართვა, კერძოდ : **ოაზის პოკერი, ტეხასური პოკერი, რუსული პოკერი.**

❖ ბანქოს თამაშობა „აზის პოკერი“

თამაში მიმდინარეობს მოთამაშესა და სამორინეს წარმომადგენელს შორის, ბანქოს ერთი სრული დასტის მეშვეობით.

ბანქოს დარიგება

ა). თამაშის დაწყებამდე, დილერი იღებს კარტს, ჩეხავს და აცხადებს ფსონების დადებას „გთხოვთ ჩამოდით თქვენი ფსონი“.

ბ). შემდეგ დილერი შეამოწმებს აგრეთვე: რომ ყველა ფსონი განლაგებული იყოს უმაღლესი ღირებულებით ქვემოთ და მინიმალური ღირებულებით ზემოთ.

გ). თითოეულ ბოქსთან (სათამაშო ადგილი) შესაძლებელია იყოს მხოლოდ ერთი მოთამაშე, შესაბამისად ბოქსზე შეიძლება იყოს ერთი „ანტე“ (საწყისი ფსონი ხელის დაწყებამდე) ფსონი, „ბეთ“ (საწყისი ფსონის გაორმაგება) ფსონი და „ბონუსი“ (დამატებითი ფსონი, რომლის დადებაც დამოკიდებულია მოთამაშის სურვილზე). მოთამაშე უნდა იჯდეს იმ ბოქსთან, სადაც თამაშობს.

დ). მოთამაშეს არ შეუძლია ითამაშოს ერთ ხელზე მეტი თამაშის ნებისმიერი ერთი დარიგების (რაუნდი) დროს.

ე). იმ შემთხვევაში თუ ყველაფერი რიგზეა დილერი განაცხადებს. „შეწყდა ფსონის დადება, გმადლობთ“, და თამაში დაიწყება დილერისგან მარცხენა მხრიდან და გაგრძელდება მაგიდის ირგვლივ საათის ისრის მიმართულებით. დილერი კარტს შემდეგნაირად დაარიგებს:

ერთი კარტი, სახით ქვევით, თითოეულ ბოქსთან, რომელიც „ანტე“ ფსონს შეიცავს;

ერთი კარტი, სახით ქვევით, თავისთვის.

დილერი ანალოგიურად არიგებს მეორე, შემდეგ მესამე, მეოთხე და მეხუთე კარტს, სახით ქვევით, როგორც მათთვის ასევე თითოეულ ბოქსთან, რომელიც შეიცავს „ანტე“ ფსონს, გარდა დილერის ბოლო კარტისა, რომელიც უნდა დაიდოს სახით ზემოთ, ანუ უნდა იყოს ღია კარტი მოთამაშეებისათვის.

მაგ. „დილერს აქვს მეფე, გთხოვთ თქვენი გადაწყვეტილებები“.

ვ) მას შემდეგ როცა რაუნდის დროს პირველი კარტი დარიგებულია, პიროვნებას არა აქვს უფლება შეცვალოს, უკან აიღოს, ან შეეხოს ფსონს მანამ სანამ გადაწყვეტილებები კეთდება ფსონთან დაკავშირებით და განიხილება დილერის მიერ.

ზ). ყველა ბოქსზე, პირველი ჩამოსული კარტი უნდა განლაგდეს დილერის წრის მხარეს, რომელიც განსაზღვრავს ბონუსის ფსონის ზღვარს.

მეორე კარტი განლაგდება მარცხნივ, ისე რომ ორივეს, როგორც მოთამაშეს ასევე დილერსა და მათ შორის მეთვალყურესაც შეეძლება დარიგებული კარტის დანახვა.

თ) თავდაპირველად დარიგებული კარტის მიხედვით სადაც ხუთი ან ხუთზე მეტი ბოქსია თამაშში, ან კიდევ შემთხვევითი ინტერვალები სადაც ხუთზე ნაკლები ბოქსია, დილერი გადაითვლის ბანქოს მთლიან დასტას და განლაგებს მას მაგიდაზე 5 მწკრივად სახით ქვევით.

ი) მოთამაშეს შეუძლია შეიძინოს მეექვსე კარტი ერთ ფსონად.

ფსონი

ა). კარტის დარიგების შემდეგ, მოთამაშეებს შეუძლიათ აიღონ თავიანთი კარტები და გადაწყვიტონ სურთ თუ არა ფსონის დადება.

ბ). მოთამაშე, რომელიც გადაწყვეტს ფსონის ჩამოსვლას უნდა დადოს „ანტე“ ფსონის გაორმაგებული თანხის ოდენობა. გ). მოთამაშე რომელიც გადაწყვეტს შეწყვიტოს რაუნდი მან თავისი კარტები უნდა განალაგოს მაგიდაზე სახით ქვევით. დ). დილერი შეაგროვებს „ანტე“-ს და „ბონუს“ ფსონს (თუ იგი დადებულია) და ასევე იმ მოთამაშეების კარტს, რომლებმაც გადაწყვიტეს რაუნდის შეწყვეტა.

ე). მანამ სანამ მოხდება კარტების ამოღება მოთამაშის ბოქსიდან, კარტი გაიშლება, დაითვლება იმის შესამოწმებლად დანამდილებით არის თუ არა ხუთივე კარტი ადგილზე, და შემდეგ მოთავსდება დისკარდში.

ვ). მას შემდეგ რაც მოთამაშეებს მიეცემათ „ბეთ“ ფსონის ჩამოსვლის ანუ fo1cJng საშუალება, დილერი გამოაცხადებს „დილერის ხელი“ და გახსნის თავის კარტებს სახით ზევითკენ,

ხელის გადახდა

1. 1 წყვილი ან ნაკლები ერთი ერთზე (თანხის მაქსიმალურ გადახდამდე)

2. 2 წყვილი ორი ერთზე (თანხის მაქსიმალურ გადახდამდე)

3. 3 წყვილი სამი ერთზე (თანხის მაქსიმალურ გადახდამდე)

4. სტრიტი ოთხი ერთზე (თანხის მაქსიმალურ გადახდამდე)

5. ფლეში ხუთი ერთზე (თანხის მაქსიმალურ გადახდამდე)

6. ფულ-ჰაუსი შვიდი ერთზე (თანხის მაქსიმალურ გადახდამდე)

7. კარე (ოთხეული) ოცი ერთზე (თანხის მაქსიმალურ გადახდამდე)

8. სტრიტ-ფლეში ორმოცდაათი ერთზე (თანხის მაქსიმალურ გადახდამდე)

9. როიალ ფლეში ასი ერთზე (თანხის მაქსიმალურ გადახდამდე)

10. „ბეთ“ ფსონის მაქსიმუმი ნაჩვენები იქნება სპეციალური აღმნიშვნელით, რომელიც მოთავსებული იქნება მაგიდაზე ან მაგიდის გვერდით.

ბონუსი

ა. მოთამაშეს უნდა ჰქონდეს გაკეთებული „ანტე“ ფსონი თუკი სურს, რომ დადოს თანხა ბონუსზე. ბ). თუ მოთამაშეს ექნება ფლეშის ბონუსი ან კიდევ ფულ-ჰაუსი, დილერმა უნდა:

1. შეამოწმოს მოთამაშის საუკეთესო ხუთი კარტი;
2. განალაგოს მოთამაშის ხელი (საუკეთესო ხუთი კარტი) ისე რომ ერთმანეთისაგან იყოს მოცილებული (ანუ არ ფარავდნენ ერთმანეთს);
3. დაითვალოს კარტი; განალაგოს კარტები ხუთ მწკრივად სახით ქვევით (დახურულად),
4. დამკვირვებელმა უნდა შეამოწმოს უსაფრთხოების ყველა ზომა და დაადასტუროს, დაამტკიცოს მოგება.

გ). იმ შემთხვევაში თუკი მოთამაშე ფლობს კარეს (ანუ ოთხეულს), სტრიტ-ფლეშს ან ფლეშს, დილერი დამატებით გასცემს „ანტე“ და „ბეთ“ ფსონს. პიტ-ბოსი ინფორმაციის მიღების შემდეგ შეატყობინებს მეთვალყურეს როგორც გამარჯვებული ხელის შესახებ, ასევე მოგებული „ანტესა“ და „ბეთ“ ფსონის ოდენობაზე. თამაში გაგრძელდება მას შემდეგ რაც მოგებული თანხა გაიცემა მეთვალყურის აღიარების შემდეგ.

დ). ბონუსი გადახდილი იქნება მას შემდეგ რაც მოხდება ყველა „ბეთ“ და „ანტე“ ფსონების აღება ან გადახდა.

ვ). მოთამაშემ რომელმაც დადო თანხა ბონუსზე და ემზადება ბონუსის მიღებაზე, იმარჯვებს იმისდა მიუხედავად ექნება თუ არა დილერს თამაში.

ზ). ფლეშ-როიალის ან სტრიტ-ფლეშის ბონუსის გადახდამდე, ყველა დარჩენილი კარტი, რომელიც არ წარმოადგენს მოთამაშის (საუკეთესო 5 კარტის) ნაწილს უნდა გადანაწილდეს თავიანთი ფერის მიხედვით და შემოწმდეს შემდეგი პირების მიერ:

დილერი

მეთვალყური

პიტ-ბოსი

თამაშის მენეჯერი

ზედამხედველის.

თ). თამაში გაგრძელდება ახალი კარტით და მოგებული თანხა გაიცემა შემოწმების შემდეგ.

ბონუსი გაიცემა

1. ფლეშ-როიალზე;
2. სტრიტ-ფლეშზე;
3. კარეზე (ოთხეული);
4. ფულ-ჰაუსზე;
5. ფლეშზე;

ა). როცა დილერს გააჩნია ტუზი და მეფე ან კიდევ უფრო მაღალი კომბინაცია, დილერი ხსნის თითოეული მოთამაშის კარტებს და ადარებს მათ კომბინაციას თავის კომბინაციასთან.

ბ). იმ მოთამაშეებისათვის რომელთაც დილერთან შედარებით უფრო მაღალი ღირებულების კომბინაცია გააჩნიათ, დილერი პირველ რიგში გადაიხდის მოგებას, რის შემდეგაც დილერი იმ მოთამაშეებისგან, რომლებსაც დილერზე დაბალი კომბინაცია გააჩნიათ შეაგროვებს „ბეთ“ და „ანტე“ ფსონებს.

გ). თუკი მოთამაშეს აქვს ფლეშის ან ფულ-ჰაუსის ბონუსის კომბინაცია, მაშინ დილერი გასცემს ან აიღებს „ბეთ“ და „ანტე“ ფსონებს. კომბინაცია განლაგებული უნდა იყოს თანმიმდევრულად და ისე უნდა იყოს განფენილი, რომ კარტები ერთმანეთს არ უნდა ფარავდეს. აღნიშნული კომბინაცია და ბონუსი რჩება მაგიდაზე, ხოლო დილერი გაიმეორებს იმავე პროცედურას ნებისმიერი სხვა ბონუსისათვის იმავე რაუნდში.

დ). მას შემდეგ რაც მოხდება მომგებიანი კომბინაციის აღიარება, დილერი გამოაცხადებს ბონუსის ოდენობას. დილერი შეცვლის ბონუსის მარკერს თანხით

ე). ბონუსის გაცემის შემდეგ დილერი აჩეხავს და მოჭრის კარტს. აღნიშნულს ადგილი ექნება ასევე ფლეშის შემდეგ იმისდა მიუხედავად მოთამაშეს აქვს ბონუს ბეთი თუ არა, ეს ასევე დაკავშირებულია დილერის კომბინაციასთან.

წ). იმ შემთხვევაში თუკი ბონუსის მოგება მოხდება როიალ-ფლეშით, ფლეშ-სტრიტით ან კარეთი (ოთხეულით), მაშინ მოგება ეცნობება პიტ-ბოსს და დადასტურდება მეთვალყურის მიერ. იმ შემთხვევაში თუ მოგება მოხდა როიალ-ფლეშით ან ფლეშ-სტრიტით მისი აღიარება მოხდება ასევე თამაშის პასუხისმგებელი მენეჯერის მიერაც. მოგების ხელის დადასტურება მოხდება გადახდამდე, თუმცა ბონუსის მარკერი შეგროვდება.

ი). იმ შემთხვევაში თუკი ადგილი აქვს ფლეშ-როიალით ან სტრიტ-ფლეშით ბონუსის მოგებას, დილერი დაახარისხებს კარტებს და დატოვებს მოთამაშის კარტებს მანამ სანამ არ მოხდება მომგებიანი კომბინაციის დადასტურება პინ-ბოსის მიერ. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება არსებული კარტების ახლით შეცვლა.

თანხის გაცემა

ა. ფსონები ყოველთვის უნდა გაიცეს ან მიღებულ იქნას თანმიმდევრულად დაწყებული დილერის მარჯვენა მხრიდან საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით და დამთავრებული დილერის მარცხენა მხარეს. პირველ რიგში რიგდება „ბეთი“, შემდეგ ანტი, და შემდეგ სხვა დანარჩენი. საბოლოოდ კი სრულდება ბონუსით.

მომგებიანი ხელი შედგება ფლეშ-როიალისგან, ფლეშ-სტრიტისა ან კარესგან (ოთხეულისგან), რომელიც გაიცემა მხოლოდ დამკვირვებლის დადასტურებისა და აღიარების შემდეგ.

ბ). დილერებმა გადახდის ან აღების შემთხვევაში უნდა გამოიყენონ კონკრეტული ხელი თითოეული დასახელებისა თუ აღნიშვნებისათვის რომელიც გამოყენებულია მაგიდაზე. მარჯვნივ არსებული ბოქსი ყოველთვის უნდა იქნას გადახდილი ან აღებული მარჯვენა ხელით, ხოლო მარცხენა ბოქსი ყოველთვის უნდა იქნას გადახდილი ან აღებული მარცხენა ხელით.

კარტის აღება

- ა. დილერი აიღებს კარტებს მოთამაშეებისაგან, მას შემდეგ რაც დილერი შეადარებს კარტებს და გასცემს ან აიღებს თანხას.
- ბ. მარჯვენა ხელის გამოყენებით დილერი გაშლის და დაითვლის კარტს, აიღებს კარტებს და მოათავსებს დისკარდში.
- გ. ეს პროცედურა უნდა განმეორდეს თანხის ყოველი ჩამოსვლის შემდეგ.

პოკერის ხელის კომბინაციები

ა. კარტების ღირებულებათა რანჟირება დაბლიდან მაღლისაკენ ხდება შემდეგნაირად:

2,3,4,5,6,7,8,9,10, ვალეტი, ქალი, მეფე, ტუზი, გამონაკლისს წამოადგენს ქვემოთ მოცემული „ბ.“ წესი, რომლის მიხედვითაც ტუზი შეიძლება ჩაითვალოს როგორც დაბალი კარტი.

ბ. ხელის ღირებულებათა რანჟირება დაბლიდან მაღლისაკენ ხდება შემდეგნაირად:

ლუწი კარტები (Odd cards) - მაგალითად, 2, 4, 6, მეფე, ტუზი.

წყვილი (1 pair) - 2 ერთნაირი სახის მქონე კარტი, უფრო მაღალი წყვილი ჭრის დაბალ წყვილს. ტუზი უნდა იყოს მაღალი.

2 წყვილი (2 pairs) - 2 განსხვავებული წყვილი, წყვილი ტუზითა და წყვილი მეფით, რომლებიც წარმოადგენენ 2 ყველაზე მაღალი კომბინაციის წყვილს. ტუზები უნდა იყოს მაღლები.

სამეული (3 of a kind) - 3 ერთნაირი სახის კარტი.

(Straight) - ნებისმიერი ფერის 5 თანმიმდევრული კარტი. ტუზი შეიძლება ჩაითვალოს როგორც მაღალ ასევე დაბალ კარტად.

ფლეში (Flush) - ერთი და იგივე ფერის ნებისმიერი 5 არა თანმიმდევრული კარტი. ხელში ყველაზე მაღალი ღირებულების მქონე კარტი გადაწყვეტს ღირებულებას 2 ფლეშს შორის. იმ შემთხვევაში თუკი ყველაზე მაღალი კარტი ორივე ხელში ერთნაირი ღირებულებისაა, შედარდება შემდეგი მომდევნო უმაღლესი კარტი; და ა.შ.

ფულ ჰაუსი (Full house) - ერთნაირი ღირებულების სამი კარტი და ერთნაირი რიცხოვრივი და ნომინალური ღირებულების მქონე ორი კარტი. ხელები ღებულობენ თავიანთ ღირებულებას, პირველი სამი მოთამაშიდან.

კარე/ოთხეული (4 of a kind) - 4 თანაბარი ღირებულების მქონე კარტი.

სტრიტ ფლეში (Straight flush) - 5 ერთნაირი ფერის მქონე უმაღლესი კარტი.

ფლეშ როიალი (Royal flush) - 10, ვალეტი, ქალი, მეფე, ტუზი, 5 ერთნაირი ფერის მქონე უმაღლესი კარტი.

როცა დილერი და მოთამაშე უჩვენებენ ერთნაირი ხელის კომბინაციას. იმ შემთხვევაში თუკი ორივეს ხელთ ააქვთ თანაბარი ღირებულების უმაღლესი კარტი, შედარება მოხდება მომდევნო კარტთან და ა.შ.

ყველა ფერის კარტს უნდა ჰქონდეს ერთნაირი ღირებულება.

აღნიშნული თამაშობის მინიმალური ფსონია 5 ლარი, მაქსიმალური ფსონია 100 ლარი, ხოლო მაქსიმალური მოგების ოდენობა შეადგენს 8000 ლარი.

❖ ტეხასური პოკერი

- იმისთვის რომ დავიწყოთ თამაში, მოთამაშე აკეთებს საწყის ფსონს ANTE განყოფილებაში. ამის შემდეგ დილერი იწყებს ორ-ორი კარტის დარიგებას მარჯვნიდან მარცნივ, მოთამაშეებისთვის და თავისთვის, შემდეგ 3 გახსნილ კარტს მაგიდის შუაში, ეგრეთწოდებულ „საერთო კარტს“. ამის შემდეგ მოთამაშე იწყებს გადაწყვეტილების მიღებას გააგრძელოს თუ არა თამაში.
- თუ კი მოთამაშე უარს ამბობს თამაში გაგრძელებაზე და წვება, ის კარგავს თავის დადებულ საწყის ფსონ ANTE-ს. თუ კი მოთამაშე აგრძელებს თამაშს, მან უნდა გააკეთოს ფსონი ორი საწყისი ფსონის ANTE-ს ოდენობით, რის შემდეგაც დილერი ამატებს სამ საერთო კარტს, ორს და ხსნის თავის კარტს. ყოველი მოთამაშის მიზანია, იპოვოს საუკეთესო კომბინაცია 5 კარტიდან, თავისი ორის და საერთო 5 კარტის გამოყენებით.
- მოთამაშეთა ანალოგიურად დილერი განსაზღვრავს თავის კომბინაციას თავისი ორი და მაგიდის ცენტრში მოთავსებული
- 5 კარტიდან. ყველა მოთამაშის კომბინაცია შეედრება დილერის კომბინაციას.
- მინიმალური თამაში - წყვილი ოთხიანები. თუ კი დილერის და მოთამაშის კომბინაცია იდენტურია, დარჩენილი ორი კარტი არ განიხილება და მოთამაშე ასეთ შემთხვევაში არ აგებს და არც იგებს.
- მომგებიან ფსონ „ANTE“-ს გადახდა ხდება ქვემოთ მოცემული შეფარდებების მიხედვით ხოლო ფსონი „BET“- 1:1 თან.

ANTE - მომგებიანი ფსონები:

- 1 წყვილი 1:1
- 2 წყვილი 1:1
- სამი ერთნაირი 1:1
- სტრიტი 1:1
- ფლეში 2:1
- ფულ-ჰაუსი 3:1
- ოთხი ერთნაირი 10:1

- სტრიტ ფლეში 20:1
- როიალ ფლეში 100:1

ფსონ ANTE-სგან განსხვავებით, ფსონი BET არ ექვემდებარება გადახდას, თუ კი დილერს არ აქვს თამაში. მოთამაშეს უფლება აქვს კარტის დარიგებამდე გააკეთოს ბონუს ფსონი. ბონუს ფსონის სიდიდე განისაზღვრება სამორინეს მიერ და გადახდა ხდება შემდეგნაირად:

- 2 ტუზი 7:1
- 2 წყვილი 7:1
- 3 ერთნაირი 7:1
- სტრიტი 7:1
- ფლეში 20:1
- ფულ-ჰაუზი 30:1
- კარე 40:1
- სტრიტ-ფლეში 50:1
- როიალ-ფლეში 100:1

აღნიშნული თამაშობის მინიმალური ფსონია 5 ლარი, მაქსიმალური ფსონია 100 ლარი, ხოლო მახსიმალური მოგების ოდენობა შეადგენს 8000 ლარი.

❖ **რუსული პოკერი**

თამაშის არსი

რუსული პოკერი - ეს არის ბანქოს თამაში, რომლის მიზანია შეიკრას რაც შეიძლება მაღალი პოკერკომბინაცია, უფრო მაღალი ვიდრე სამორინეს დილერს გააჩნია. თამაშში მონაწილეობს 52 კარტისგან შემდგარი დასტა, ოთხივე სათამაშო მასტი 2 იანით დაწყებული და ტუზით დასრულებული. თითოეულ მასტში ყველაზე მაღალ კარტს წარმოადგენს ტუზი, ყველაზე დაბალს კი - ორიანი. ყოველი დარიგების წინ კარტის დასტა უნდა აირიოს.

ერთ ბოქსზე თამაშის წესი

თამაშში მონაწილეობს 4 (ოთხი) მოთამაშე, რომლებიც სამორინეს დილერის წინააღმდეგ თამაშობენ. ყოველი ბოქსი შედგება ფსონის დასადები 2 (ორი) მინდვრისგან. მათგან ერთს ჰქვია ANTE (საწყისი ფსონი), მეორეს კი - BET (ძირითადი ფსონი). ყოველი დარიგების წინ მოთამაშე აკეთებს საწყის ფსონს (ANTE). დარიგებისას დილერი არიგებს ხუთ-ხუთ კარტს, როგორც მოთამაშისთვის, ისე თავისთვისაც. კარტი რიგდება თანმიმდევრობით სათითაოდ და ლაგდება კარტის “პერანგით” (ზურგით) ზემოთ. თუმცა სამორინეს დილერის ბოლო კარტი რიგდება ღიად.

პოკერის კომბინაციები

ყოველი განლაგება მიეკუთვნება 10 პოკერ-კომბინაციიდან ერთ-ერთს. ქვემოთ ჩამოთვლილია პოკერკომბინაციები სიდიდის მიხედვით. ქვემოთ ჩამოთვლილია პოკერ-კომბინაციები სიდიდის კლებალობის მიხედვით:

- ფლეშ-როიალი - ყველაზე მაღალი პოკერ-კომბინაცია - 5 (ხუთი) ერთნაირი მასტის მაღალი კარტი (ტუზი-მეფე-დამა-ვალეტი-ათიანი)
- სტრიტ-ფლეში - ერთი მასტის სტრიტი
- კარე - ერთი სიდიდის 4 (ოთხი) კარტი, მაგალითად 4 ვალეტი ან 4 ხუთიანი (კლუს ერთი დამატებითი სხვა სიდიდის კარტი)
- ფული ან ფულ-ჰაუზი - 3 (სამი) ერთი სიდიდის კარტი და 2 (ორი) განსხვავებული, მაგალითად, 6-6-6-მეფე-მეფე;
- ფლეში - 5 (ხუთი) ერთნაირი მასტის კარტი
- სტრიტი - 5 (ხუთი) სიდიდის მიხედვით თანმიმდევრობითი კარტი, მაგალითად, 9-8-7-6-5. კარტის მასტს მნიშვნელობა არ აქვს. ტუზი შეიძლება იყოს როგორც ყველაზე მაღალ, (ტუზი-მეფე დამა ვალეტი-10), ასევე ყველაზე ყველაზე დაბალ კარტად (5-4-3-2-ტუზი). თანმიმდევრობა, სადაც ტუზი შუაშია, (3-2-ტუზი-მეფე-დამა), სტრიტად არ ითვლება
- სამი ერთნაირი (ე.წ. ტროიკა) - ერთნაირი სიდიდის 3 (სამი) კარტი, მაგალითად 9-9-9-დამა-4;
- ორი წყვილი - ერთნაირი სიდიდის 2 (ორი) კარტი და ორი განსხვავებული, მაგალითად, ტუზიტუზი - 5-5-10
- წყვილი - ერთნაირი სიდიდის 2 (ორი) კარტი, მაგალითად, 8-8-მეფე-4-2
- ტუზ-მეფე - ნებისმიერი მასტის ტუზი და მეფე, მაგალითად, ტუზი-მეფე-8-7-3
- “არ არის თამაში” - როდესაც არც ერთ ზემოთჩამოთვლილი კომბინაცია არ შედგა რაც უფრო მაღალია კომბინაცია, მით უფრო მაღალია განლაგების ღირებულება. იმ შემთხვევაში თუ ორი განლაგება მიეკუთვნება ერთსა და იმავე კომბინაციას, მაშინ შედარებითი ღირებულება განისაზღვრება მათი სიდიდის მიხედვით, ისევე როგორც ჩვეულებრივ საკლუბო პოკერში.

განვიხილოთ მაგალითები:

- წყვილი 5-5-4-3-2 უფრო მაღალია, ვიდრე 4-4- ტუზი-მეფე-დამა (ფასდება ერთნაირი კარტების სიდიდე)
- წყვილი 5-5-დამა-3-2 უფრო მაღალია, ვიდრე 5-5- ვალეტი-10-9 (დამა ვალეტზე მაღალია)
- ორი წყვილი ტუზი-ტუზი 2-2-3 უფრო მაღალია, ვიდრე მეფე-მეფე-დამა-დამა-ტუზი (ფასდება მაღალი წყვილის კარტების ღირებულება)
- სტრიტი ტუზი-მეფე-დამა-ვალეტი-10 ყველაზე მაღალია, 5-4-3-2-ტუზი - ყველაზე დაბალი
- ფული 3-3-3-2-2 უფრო მაღალია, ვიდრე 2-2-2- ტუზი-ტუზი (3-იანი უფრო ღირებულია, ვიდრე 2-იანი) პრიორიტეტი

მასტებს შორის არ არის განსაზღვრული.

შესაბამისად, ერთნაირი სიდიდის ორი განლაგება ერთნაირი ღირებულებისაა. კარტის გალაგების შეფასების შემდგომ, მოთამაშემ უნდა გააკეთოს ოთხი შესაძლო არჩევანიდან ერთ-ერთი:

გადაწყვეტილება 1: ე.წ. “დაუყოვნებლო დანაშაულები”.

გადაწყვეტილება 2: ხელთ არსებული კარტით თამაშის გაგრძელება, ამასთან ძირითადი ფსონი ორჯერ მეტია, ვიდრე ფსონი “ANTE” ბოქსში, რას ავტომატურად ხორციელდება. ზოგჯერ ზემოაღნიშნულ პროცედურას “ფსონის აწევას” უწოდებენ.

გადაწყვეტილება 3: მეექვსე კარტის დამატება უფრო მომგებიანი კომბინაციის მიღების მიზნით. დილერის კარტთან შედარებისას ანგარიში გაეწევა მოთამაშის მხოლოდ 5-კარტიან უძლიერეს კომბინაციას. ასე მაგალითად, კომბინაციაში დამა-დამა-დამა-8-8-8 უკანასკნელი 8-იანი არ იქნება გათვალისწინებული. მე-6 კარტის დამატება ფასიანია და იგი საწყისი ფსონის (ANTE) ტოლფასია.

გადაწყვეტილება 4: საკუთარი შანსების შეფასების შემდეგ, შეეცადოთ კარტების შეცვლა უფრო მომგებიანი კომბინაციის მიღების მიზნით. მოთამაშეს შეუძლია ნებისმიერი რაოდენობის კარტის შეცვლა (ერთიდან ხუთამდე). კარტების შესაცვლელად თავიდან აუცილებელია შეირჩეს არასასურველი კარტები. ნებისმიერი რაოდენობის კარტის შეცვლა საწყისი ფსონის (ANTE) თანხის ოდენობის ტოლფასია. გადაყრილი კარტის ნაცვლად, დილერი არიგებს შესაბამისი რაოდენობის ახალ კარტს. აღნიშნული ცვლილების შემდგომ, მოთამაშე ისევ აფასებს საკუთარ კარტს და თუ მას ეს განლაგება აწყობს, მაშინ იღებს “გადაწყვეტილება 2”-ს. ხოლო თუ არ გაუმართლა, მაშინ შეუძლია მაშინვე შეწყვიტოს თამაში - “გადაწყვეტილება 1”. სხვა ალტერნატივა უკვე არ არსებობს.

მას მერე, რაც მოთამაშე გააკეთებს საბოლოო არჩევანს, დილერი ხსნის საკუთარ კარტს. ჯერ-ჯერობით დავუშვათ, რომ მას აქვს ღირებული (არა ცარიელი) კომბინაცია. ასეთ შემთხვევაში მისი განლაგება უნდა შეედაროს მოთამაშის კარტს. თუ აღმოჩნდა მოთამაშის განლაგება უფრო უარესია, მოთამაშე კარგავს ყველაფერს, რაც ბოქსში ჰქონდა დედბული. თანაბარი განლაგების შემთხვევაში, მოთამაშე რჩება მისი დადებული ფსონი. კრუპიეს წაგების შემთხვევაში, იწყება ყველაზე საინტერესო. სტანდარტული “ოაზისი”-სგან განსხვავებით, რუსულ პოკერში საწყისი ფსონი (ANTE) არ ექვემდებარება გადახდას იმ შემთხვევაში, თუ დილერს აქვს თამაში. სამაგიეროდ, ძირითადი ფსონი ექვემდებარება გადახდას თქვენი პოკერ-კომბინაციის მიხედვით. იხილეთ პოკერ-კომბინაციათა ცხრილი:

კომბინაცია შესაბამისობა

ფლეშ-როიალი 100:1

სტრიტ-ფლეში 50:1

კარე 20:1

ფულ-ჰაუსი 7:1

ფლეში 5:1

სტრიტი 4:1

სამიერთნაირი 3:1

ორი წყვილი 2:1

წყვილი 1:1

ტუზ-მეფე 1:1

საწყისი ფსონი (ANTE) არის 10 (ძირითადი ფსონი - 20), მოთამაშის საერთო მოგება რომელსაც მოუვიდა ფულ-ჰაუსი შეადგენს 140. როიალ ფლეშის შემთხვევაში მოგება შეადგენს 2000.

მეორე პოკერ-კომბინაცია

სტანდარტული “ოაზისი”-სგან განსხვავებით რუსულ პოკერში მოთამაშეს მომგებიანი კომბინაციის გარდა, შეიძლება დაუჯდეს მეორე პოკერ-კომბინაცია, რომელიც ასევე ექვემდებარება გადახდას. ამასთანავე, მეორე კომბინაციის თუნდაც ერთი კარტი არ უნდა შედიოდეს პირველ კომბინაციაში.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

• ტუზი-ტუზი-მეფე-8-9: წყვილი (ტ-ტ) + ტუზ-მეფე (ტ-მ) გადაიხდება 2:1

• 2-2-ტუზი-მეფე-9: წყვილი (2-2) + ტუზ-მეფე (ტ-მ) გადაიხდება 2:1

• ტუზი-ტუზი-ტუზი-ტუზი-7-7: კარე (ტ-ტ-ტ-ტ) + ფულ-ჰაუსი (ტ-ტ-ტ-7-7) გადაიხდება (27:1)

• ტუზი-მეფე-დამა-ვალეტი-10-9: სტრიტი (ტ-მდ-ვ-10) + სტრიტი (მ-დ-ვ-10-9) გადაიხდება 8:1. თუკი ყველა კარტი ერთი მასტისაა მაშინ ფლეშ როიალ+სტრიტ-ფლეშ გადაიხდება (150:1)

• ტუზი-ტუზი-ტუზი-ტუზი-9: კარე გადაიხდება 20:1. არ შეიძლება ამ კომბინაციის განხილვა როგორც კარე (ტ-ტ-ტ-ტ) + სამიერთნაირი (ტ-ტ-ტ) რადგან მეორე კომბინაციის ყველა კარტი შედის პირველ კომბინაციაში.

არ ჰყავს თამაში - ნავარაუდევია, რომ დილერს მოუვიდა ღირებული კომბინაცია თუ ეს ასე არ არის, მოთამაშის კარტი არავის აინტერესებს. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ დილერს “თამაში არ ჰყავს”. მოთამაშე მოგებულა ყველა

შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ მასაც “არ ჰყავს თამაში”. ამ შემთხვევაში, მისი მოგება, არც მეტი არც ნაკლები, უტოლდება საწყის ფსონს (ANTE). თუმცა ეს მოგება შეიძლება არ აღმოჩნდეს მანუგემებელი.

თუკი მოთამაშეს “უფუჭდება” კარე ან სტრიტ-ფლეში. რუსულ პოკერში მოთამაშეს შეუძლია სცადოს შეცვალოს სიტუაცია, დილერისთვის კარტის ყიდვით.

თუ დილერს “არ ჰყავს თამაში”, ის მოთამაშეს სთავაზობს გადაიხადოს თანხმა, საწყისი ფსონის (ANTE) ოდენობით, მისი

ერთი კარტის შეცვლისათვის, დილერი გადააგდებს სიდიდით ყველაზე მაღალ კარტს და დასტიდან ახალს აიღებს. თუ შეცვლის შედეგად, დილერი ააწყობს რაიმე ღირებულ კომბინაციას, განხორციელებს ჩვეულებრივი შედარება და მოგებულ თანხის გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ კარტის შეცვლის შემდეგ “არ ჰყავს თამაში”, მაშინ მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ მისი ფსონი. ამასთან საწყისი ფსონიც (ANTE) კი არ იქნება გადახდილი.

P.S. კარტის შეცვლის შემდეგ, თუ დილერმა გახსნა იგივე მასტის კარტი (მაგ.: გადააგდო ტუზი და გახსნა ისევ ტუზი), მოთამაშეს ეძლევა დამატებით კიდევ ერთი შანსი, სრულიად უფასოდ, სიტუაციის შესაცვლელად. დილერი ამ შემთხვევაში გამოცვლის გახსნილ (ნაყიდ) კარტს ახალი კარტით. მნიშვნელობა არ აქვს რა კარტი გაიხსნება გაცვლის შემთხვევაში. თამაში გაგრძელდება წესების მიხედვით.

დაზღვევა - იმ შემთხვევაში თუ მოთამაშეს აქვს კომბინაცია “სამი ერთნაირი” ან უფრო მაღალი, მას შეუძლია დააზღვიოს ის დილერის “არ აქვს თამაში”-სგან.

დაზღვევის მინიმუმია: ძირითადი ფსონი. მაქსიმუმი: მოთამაშის მაქსიმალური მოგება. თუ კი დილერს არ აქვს თამაში დაზღვევა იგებს და გადაიხდება 1:1, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზღვევა აგებს. (თუ კი დილერის კომბინაცია მოთამაშის კომბინაციაზე ძლიერია ან თანაბარი მაშინ დაზღვევა რჩება).

აღნიშნული თამაშობის მინიმალური ფსონია 5 ლარი, მაქსიმალური ფსონია 100 ლარი, ხოლო მახსიმალური მოგების ოდენობა შეადგენს 8000 ლარი.

ინტერნეტ-სამორინე „კრისტალბეთი“ გათამაშების წესები

ზოგადი დებულება

სარეგისტრაციო წესები და რეგისტრირებულ მომხმარებელთა უფლება-მოვალეობები.

- წინამდებარე წესები შეთანხმებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან.
- ინტერნეტ-სამორინეს სალონს აწყობს შპს „მარსი“ (შემდგომში „კომპანია“) მისამართზე: ქ. წყალტუბო, სოფ. ქვიტირი, ნაკვეთი N 072-ზე არსებული შენობა-ნაგებობა N 05, N 06 და N07-ის პირველი სართული, გაერთიანებული ფართი N1.
- მოწყობილი სამორინეს საფუძველზე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით-ინტერნეტის მეშვეობით მოეწყობა და იფუნქციონირებს ვებ-გვერდი მისამართით: WWW.CRYSTALBET.COM რომელზეც განთავსებულია თამაშობები და რეალურ სამორინეში ფუნქციონირებადი თამაშობათა წესების შესაბამისად მიმდინარეობის თამაშობა. ვებ-გვერდი იფუნქციონირებს 24 საათის განმავლობაში. სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობების მართვა და ორგანიზება ხდება მისამართზე: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. № 5.
- ინტერნეტ-სამორინე წარმოადგენს პროგრამას, რომლის მეშვეობით მის მომხმარებელს საშუალება ეძლევა, დაწესებულებაში მიუსვლელოს, ინტერნეტის მეშვეობით, თამაშობის მსვლელობისას მონაწილეობა მიიღონ აზარტულ თამაშობებში, დადონ ფსონები და თამაშობის მიმდინარეობის შედეგების შესაბამისად მიიღონ მოგება. რეგისტრაციისა და თამაშის დაწყების წინ მოთამაშეები ვალდებული არიან გაეცნონ ინტერნეტ-სათამაშო აპარატების სალონის წესებს, რომელიც მოთამაშეთა უფლებების დაცვის მიზნით, განთავსებულია აღნიშნული ვებ-გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხებზე, რომელიც გამოქვეყნებულია ინტერნეტ-სამორინეს ვებ-გვერდზე და შესაბამისად, უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა, პრეტენზიები არ მიიღება.
- ყველა მოთამაშე ვალდებულია „კომპანიის“ ვებ გვერდზე WWW.CRYSTALBET.COM რეგისტრაციის გავლისა და ფსონის დადების წინ გაეცნოს წინამდებარე წესებს. გათამაშების წესების არცოდნა არ მიიღება არგუმენტად ფსონის გასაუქმებლად ან სხვა სადავო საკითხის გადასაწყვეტად.
- მოთამაშის მიერ რეგისტრაციის გავლა და ფსონის დადება ნიშნავს რომ ის ეთანხმება „კომპანიის“ მიერ დადგენილ გათამაშების წესებს.
- ფსონები მიიღება 25 წელს მიღწეული პირებისაგან საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში, ხოლო 18 წელს მიღწეული პირებისაგან უცხო ქვეყნის/მოქალაქეობის არმქონე პირების შემთხვევაში, რომლებიც ეთანხმებიან „კომპანიის“ გათამაშების წესებს. ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება მოთამაშეს.
- ინტერნეტ-სამორინეს ვებ გვერდზე რეგისტრაციისათვის მოთამაშე თავდაპირველად შედის ვებ-გვერდზე WWW.CRYSTALBET.COM შემოთავაზებულ სარეგისტრაციო ფანჯარაში და სავალდებულო წესით ავსებს რეგისტრაციისთვის აუცილებელ ველებს: სახელსა და გვარს, პირად საიდენტიფიკაციო სახელს (ე.წ. „იუზერ ნეიმ“-ს) პაროლს, მის პირად ნომერს (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად), დაბადების თარიღს, თვეს და წელს, საკონტაქტო და სხვადასხვა პირად მონაცემებს. ამის შემდგომ პირი ადასტურებს რომ გაეცნო გათამაშების წესებს და შეუსრულდა 25 წელი საქართველოს მოქალაქის, ხოლო 18 წელი უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, რის შედეგადაც სისტემა არეგისტრირებს მომხმარებელს და ანიჭებს მას პირად საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელიც ინდივიდუალურია თითოეული მოთამაშისთვის და ინტერნეტ მონაწილეობის მიღების საშუალებას იძლევა. რეგისტრაციისას, პირადი მონაცემების შეყვანის შემდეგ, პირი მოწმდება დამოკიდებულ და აკრძალულ პირთა სიაში, თუ აღნიშნული პირი მოხვედრილია აღნიშნულ სიებში, მას ეკრძალება თამაშობებში მონაწილეობის მიღება.
- პირადი საიდენტიფიკაციო კოდის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია თანხის დამატება ან თანხის გატანა „კომპანიიდან“.
- რეგისტრაციის შედეგად მინიჭებული „პაროლი“ არის საიდუმლო და იკრძალება მისი გასხვისება ან მოთამაშის მიერ მისი გადაცემა მესამე პირისთვის. ამ შემთხვევაში მიყენებულ ზარალზე „კომპანიი“-ს ადმინისტრაცია სრულიად იხნის ყველანაირ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობა ეკისრება მოთამაშეს. მომხმარებელს შეუძლია „პაროლის“/“იუზერის“ აღდგენა საიტზე განთავსებული „იუზერის და პაროლის აღდგენის“ ლილაკით. მომხმარებელს ასევე შეუძლია რეგისტრაციისას მითითებული პირადი მონაცემების, პროფილის (ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომრის) ცვლილება.
- საიტზე რეგისტრაციის წესებით დაცვით დარეგისტრირებულ მომხმარებელს, შეუძლია ვერიფიკაცია გაიაროს ელექტრონულად, საიტზე განთავსებულ სპეციალურ ველებში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოების ატვირთვით (უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად გადაღებული სელფი დამატებით). კომპანიის კომპეტენტური თანამშრომელი გადაამოწმებს რეგისტრაციისას მითითებული ინფორმაციის და ატვირთული დოკუმენტის შესაბამისობას და პასუხს გასცემს მოთხოვნაზე დაუყოვნებლივ, გადამოწმების პროცედურის დასრულებისთანავე. ვერიფიცირების შემდგომ, მომხმარებელმა ვერიფიკაცია უნდა გაიაროს ხელახლა, ვერიფიცირების დღიდან ყოველწლიურად, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეეზღუდება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე წვდომა.

საიტზე, www.crystalbet.com ასევე დამატებულია მომხმარებლების „სწრაფი ონლაინ ვერიფიკაციის“ პროცედურა, რომელიც ხორციელდება ესტონეთში, ტალინში რეგისტრირებული კომპანია “Veriff OU” (შპს)–ის პროგრამის „Veriff“ გამოყენებით. ვერიფიკაციის გავლის სურვილის მქონე მომხმარებლებს შეუძლიათ აირჩიონ ვერიფიკაციის აღნიშნული მეთოდი და მიყვინნ შემდგომ ინსტრუქციებს ვერიფიკაციის გასავლელად. მომხმარებელმა საწყის ეტაპზე უნდა დააფიქსიროს საიდენტიფიკაციო დოკუმენტის წინა მხარე (სახელმწიფო პასპორტის შემთხვევაში მხოლოდ ერთი გვერდი), შემდეგ უკანა მხარე და გადაიღოს სელფი. აღნიშნული საფეხურების გავლის შემდეგ პროგრამული უზრუნველყოფა შეადარებს მონაცემებს და მომხმარებელი მიიღებს შესაბამის შეტყობინებას: წარმატებულია თუ წარუმატებელი მათი ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის სესიის ვიდეოჩანაწერი, ასევე ვერიფიკაციის გავლის გზის შესახებ ინფორმაცია და თარიღი ინახება პლატფორმაზე და მასზე წვდომა აქვთ მხოლოდ კომპანიის საქმიანობის სპეციფიკით განსაზღვრულ, კომპეტენტურ თანამშრომლებს. მომხმარებლები ვერიფიკაციის გავლით ადასტურებენ, რომ გაეცნენ და ეთანხმებიან საიტის www.crystalbet.com წესებს და პირობებს.

13. მოთამაშის მიერ თაღლითობის გამოვლენის შემთხვევაში, რომლის შედეგადაც კრისტალბეტს მიადგება სხვადასხვა სახის ზიანი, ის იტოვებს უფლებას:

- დაბლოკოს მოთამაშის ვებ-გვერდზე შემოსვლა;
- გააუქმოს ანგარიში და დაუბრუნოს თანხა მოთამაშეს;
- საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს შესაბამის ორგანოებს თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით.

14. ყოველ დარეგისტრირებულ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ანგარიში. დარეგისტრირებულ მოთამაშეს არ შეუძლია გაიაროს ახლიდან რეგისტრაცია. ამ წესის დარღვევისათვის „კომპანიის“ ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას დაბლოკოს ასეთი ანგარიში.

15. „კომპანია“ იტოვებს უფლებას ყოველგვარი ახსნა განმარტების გარეშე უარი უთხრას მოთამაშეს ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლაზე ან ფსონის დადებაზე.

16. მოთამაშის მიერ ბალანსის შევსების დროს მის მიერ თანხის სხვის პირად ნომერზე შეცდომით გადარიცხვის შემთხვევაში, „კომპანი“–ის ადმინისტრაცია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას აღნიშნული თანხის დაბრუნებასთან ან სხვა ანგარიშზე გადატანასთან დაკავშირებით.

ანგარიში და ბალანსის მართვის წესები:

1. ინტერნეტ-სამორინეს WWW.CRYSTALBET.COM–ს საიტზე პირადი ანგარიშის შევსება და თანხის გატანა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით: პარტნიორი ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საგადახდო მომსახურეობის პროვაიდერების და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით. მომხმარებლის მიერ საბარათე არხით განაღდებული თანხა მის ანგარიშზე აისახება მომენტალურად, მომსახურე ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ.
5.2 მონაცემთა სუბიექტი კომპანიას ანიჭებს უფლებამოსილებას, მასთან პირდაპირი კომუნიკაცია დაამყაროს ნებისმიერი ელექტრონული/ სისტემური ან/და სხვა საშუალებებით. აღნიშნული კომუნიკაციის დამყარებისთანავე კომპანიამ უნდა მოიპოვოს კომუნიკაციის მონაწილის თანხმობა მოცემული არხით კომუნიკაციის დამყარების შესახებ. თანხმობის მოპოვების შემდგომ იმავე არხის საშუალებით შემდგომ კომუნიკაციასთან დაკავშირებით კომპანიას დამატებითი თანხმობის მოპოვება აღარ ესაჭიროება. თანხმობა ჩაითვლება გაუქმებულად თუ მონაცემთა სუბიექტი მიმართავს კომპანიას ასეთი თანხმობის გაუქმების მოთხოვნით.

6. მონაცემთა შენახვის ვადა

7.1 კომპანიას მომსახურების სარგებლობისას, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, კომპანიის მიერ მონაცემთა დამუშავება გაგრძელდება იმ ვადით რომელიც შეესაბამება კომპანიის მიზნებს და ინტერესებს.

7.2 თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მონაცემთა სუბიექტი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს კომპანიას მის შესახებ, კომპანიაში დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

7.1 მონაცემთა ყველა სუბიექტს აქვს წინამდებარე მუხლით და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები:

- მონაცემთა სუბიექტს შეუძლია, მოითხოვოს ინფორმაცია იმის შესახებ თუ, რა სახის პერსონალური მონაცემები ინახება მის შესახებ, როგორ და რა მიზნით შეგროვდა ეს მონაცემები.
- თუ პერსონალური მონაცემები გადაეცა მესამე პირ(ებ)ს, მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნის წარდგენისას, გონივრულ ვადაში უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მესამე პირ(ებ)ის ან პირთა ჯგუფის ვინაობის შესახებ.
- თუ პერსონალური მონაცემები არაზუსტი ან არასრულია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს, ასეთი მონაცემების შესწორება ან შეცვლა.
- მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს პრეტენზია განაცხადოს, მისი მონაცემების სარეკლამო ან საბაზრო/აზრის კვლევის, მიზნებისთვის დამუშავებაზე. თუ მონაცემთა სუბიექტი, უარს განაცხადებს მისი მონაცემების სარეკლამო მიზნებით გამოყენებაზე, ასეთი მონაცემების სარეკლამო მიზნებით გამოყენება უნდა შეწყდეს.
- მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს მისი მონაცემების დამუშავება. თუ, ასეთი დამუშავებისთვის არ, ან აღარ არსებობს კანონისმიერი საფუძველი. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევისთვის როდესაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, მონაცემთა დამუშავების მიზანი წყვეტს არსებობას. ასეთ დროს აუცილებელია დაცული იყოს მონაცემთა შენახვის ან კოლიზიური ინტერესების დაცვის შესაბამისი ვალდებულებები.

8. მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოება

9.1 პერსონალური მონაცემები უნდა იქნეს დაცული, უნებართვო წვდომისა და უკანონო დამუშავების ან/და გამჟღავნებისგან. ისევე, როგორც შემთხვევით დაკარგვის, შეცვლის ან განადგურებისგან. წინამდებარე წესი ვრცელდება იმის მიუხედავად

თუ რა ფორმით ხდება ინფორმაციის დამუშავება - ელექტრონული თუ წერილობითი. მონაცემთა დამუშავების, ახალი მეთოდების განსაკუთრებით კი საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალი სისტემები დანერგვამდე აუცილებელია, მკაფიოდ განისაზღვროს და იმპლემენტირდეს პერსონალური მონაცემების დაცვის ტექნიკური და ორგანიზებული ზომები. ასეთი ზომები უნდა იყოს უახლესი და ეფუძნებოდეს მონაცემთა დამუშავების რისკებს და მათი დაცვის ვალდებულებას მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვს მხოლოდ კომპანიის საამისოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს, წვდომა ხორციელდება ადმინ პანელების მეშვეობით, თითოეულ თანამშრომელზე გაცემულია პანელზე წვდომისთვის საჭირო პაროლი და იუზერნეიმი, პაროლი დაცულია კომპანიის სტანდარტების შესაბამისად და პანელზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის შიდა ქსელის მეშვეობით.

ინტერნეტპლატფორმის/სისტემის დაცვის მექანიზმები (IT უსაფრთხოების პოლიტიკა)

1. შესავალი

ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები წარმოადგენს Crystalbet-ის ბიზნეს საქმიანობისა და მომხმარებელთა მომსახურების შეუცვლელ კომპონენტს.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის არასათანადო გამოყენებამ შეიძლება სერიოზული გაუმართლებელი რისკები შეუქმნას კრისტალბეტს, მის აქციონერებს, პარტნიორებსა და მომხმარებლებს.

პოლიტიკა ითვალისწინებს მოთხოვნებს IT ოპერაციების მართვის პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციული აქტივების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის სათანადო დონე და დაიცვას ისინი გარე ან შიდა საფრთხეებისგან, იქნება ეს განზრახ თუ შემთხვევით.

კრისტალბეტის საინფორმაციო სისტემები უნდა იყოს კონფიგურირებული და უსაფრთხოდ მართვადი, რათა შემცირდეს მავნე მოვლენების ალბათობა და ნეგატიური გავლენა ინფორმაციულ აქტივებზე.

2. სფერო

კრისტალბეტის ყველა თანამშრომელი, კონტრაქტორი, კონსულტანტი, დროებითი და სხვა მუშაკი უნდა იცავდეს ამ პოლიტიკას. პოლიტიკა ვრცელდება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, რომელსაც ფლობს, მართავს და იჯარით გასცემს Crystalbet-ი. ამ პოლიტიკის მთავარი აუდიტორია IT ინფრასტრუქტურა და ოპერაციების დეპარტამენტი.

3. პასუხისმგებლობა

3.1 IT ოპერაციების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია Crystalbet-ის IT ინფრასტრუქტურაზე და ოპერაციულ გარემოზე, პოლიტიკაში აღნიშნულ წესებსა და პრინციპებთან შესაბამისობით.

3.2 IT ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების დეპარტამენტი პასუხისმგებელია ადეკვატურ რეაგირებაზე პოლიტიკასთან რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში.

3.3 ინფორმაციულ უსაფრთხეობასთან ასოცირებული ნებისმიერი როლი/განყოფილება პასუხისმგებელია პოლიტიკის განხილვასა და განახლებაზე, წელიწადში ერთხელ.

4. წვდომის კონტროლი

4.1 ქსელის სერვისებზე წვდომის კონტროლი

3.1.1 Crystalbet-ის ქსელურ სერვისებზე ნებისმიერი წვდომა ნებადართულია მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალისთვის

3.1.2 ინტერნეტზე დაშვება ნებადართულია მხოლოდ Crystalbet-ის proxy სერვისებიდან

3.1.3 ინტერნეტის პროქსი სერვერმა უნდა დაბლოკოს ცნობილი მავნე ვებ-გვერდები და სისტემატურად განაახლოს მავნე ვებ-გვერდების სია

3.1.4 თანამშრომლებისთვის ინტერნეტ სერვისი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ ბრაუზინგისთვის, ნებისმიერი სხვა სახის ინტერნეტით სარგებლობა ნაგულისხმევად უნდა აიკრძალოს.

3.1.5 დისტანციური ქსელის (VPN) გამოყენების შესახებ ნებისმიერი მოთხოვნა უნდა შეფასდეს და დადასტურდეს შესაბამისი დეპარტამენტის უფროსისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ.

3.1.6 IT ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების დეპარტამენტმა უნდა განსაზღვროს სტანდარტი „დისტანციურ ქსელზე წვდომის (VPN) მისაღები გამოყენებისათვის“.

4.2 სისტემის წვდომის კონტროლი

3.1.7 Crystalbet-ის ინფორმაციულ სისტემებზე ნებისმიერი წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ უფლებამოსილ პერსონალს.

3.1.8 რაც შეეხება Crystalbet-ის სისტემას, სისტემაში წვდომის მინიჭებამდე სისტემამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის საიმედოდ დამოწმება:

3.1.8.1 იდენტიფიკაციის პროცესი დაცული უნდა იყოს brute-force შეტევებისგან

3.1.8.2 კონფიდენციალური ინფორმაცია დაშიფრული უნდა იყოს ქსელში ტრანსპორტირების დროს

3.1.8.3 სისტემა არ უნდა შეიცავდეს რაიმე მგრძობიარე ინფორმაციას (პაროლი, კავშირის სტრიქონები) დაუშიფრავი ტექსტის სახით.

3.1.8.4 სისტემებში შესვლის ნებისმიერი წარმატებული ან წარუმატებელი მცდელობა უნდა იყოს აღრიცხული

3.1.8.5 ავტორიზებული მომხმარებლისთვის სისტემამ უნდა შექმნას ახალი, არაპროგნოზირებადი სესია, ის არ უნდა იყოს მუდმივი.

3.1.9 სისტემა უნდა იყოს კონფიგურირებული ისე, რომ მომხმარებლებს მიაწოდოს მხოლოდ შესაბამისი კომპონენტები (მომხმარებლის ინტერფეისი), სისტემის სხვა კომპონენტები (მონაცემთა ბაზა, აპლიკაციის შრე) არ უნდა იყოს მომხმარებელთა ქსელისგან ხელმისაწვდომი.

3.1.10 შესაძლებელი უნდა იყოს სისტემების იზოლირება მისი კრიტიკულობის გათვალისწინებით

5. ოპერაციების უსაფრთხოება

5.1 ოპერაციული პროცედურები

IT ოპერაციების მართვის პროცესებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი ოპერაციული პროცედურები:

4.1.1 აპლიკაციის ინსტალაცია და კონფიგურაცია

4.1.2 სარეზერვო პროცედურები

4.1.3 IT ინციდენტების მართვის პროცედურა

4.2 ცვლილების მენეჯმენტი

4.2.1 ყველა ცვლილება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ინფორმაციული სისტემის კონფიდენციალობაზე, მთლიანობაზე ან ხელმისაწვდომობაზე, უნდა იყოს კონტროლირებადი, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პუნქტები:

4.2.2 მნიშვნელოვანი ცვლილებების იდენტიფიკაცია და აღრიცხვა

4.2.3 ცვლილებების დაგეგმვა და ტესტირება

4.2.4 პოტენციური ზემოქმედების შეფასება, მათ შორის ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე გავლენა,

4.2.5 შემოთავაზებული ცვლილებების ოფიციალური დამტკიცების პროცედურა

4.2.6 ინფორმაციის უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემოწმება

4.2.7 ცვლილებების შესახებ დეტალური კომუნიკაცია ყველა შესაბამის პირთან

4.2.8 გეგმები და პასუხისმგებლობები წარუმატებელი ცვლილებებისა და გაუთვალისწინებელი მოვლენების შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ

4.2.9 საგანგებო სიტუაციის შეცვლის პროცესის უზრუნველყოფა, რათა შესაძლებელი გახდეს ინციდენტის მოსაგვარებლად საჭირო ცვლილებების სწრაფი და კონტროლირებადი განხორციელება

4.3 შესაძლებლობების დაგეგმვა

4.3.1 სიმძლავრის მოთხოვნები უნდა განისაზღვროს და გაანალიზდეს ყველა ახალი და არსებული სისტემისთვის

4.3.2 IT ოპერაციების მართვის დეპარტამენტმა ყოველწლიურად უნდა შეაფასოს და გაანალიზოს სიმძლავრეები.

4.4 დეველოპმენტის, ტესტირებისა და ოპერაციული გარემოების გამოყოფა

4.4.1 დეველოპმენტის, ტესტირებისა და ოპერაციული (წარმოების) გარემო ერთმანეთისგან იზოლირებული უნდა იყოს.

4.4.2 უნდა განისაზღვროს დეველოპმენტის ან სატესტო გარემოდან საოპერაციო გარემოში მიგრაციის პროცედურა

4.4.3 გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, ტესტირება არ უნდა ჩატარდეს ოპერაციულ გარემოზე

4.4.4 პერსონალური და კონფიდენციალური ინფორმაცია არ უნდა დაკოპირდეს სატესტო გარემოში

4.5 ანტივირუსი

4.5.1 ყველა სერვერზე, სამუშაო ადგილზე ან კომპიუტერზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი ანტივირუსული პროგრამა განახლებული ხელმოწერის მონაცემთა ბაზით

4.5.2 არავტორიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია აკრძალულია ყველა თანამშრომლისთვის

4.5.3 ყველა თანამშრომლისთვის აკრძალულია ცნობილ საეჭვო ვებ – გვერდებზე წვდომა, სადაც ინფექციის რისკი მაღალია

4.5.4 გარე მხარეების მიერ მოწოდებული ფაილის გახსნამდე დასკანირებული უნდა იყოს ანტივირუსული პროგრამით

4.5.5 მეილ სერვერმა ავტომატურად უნდა დაასკანეროს ელ.წერილში შეტანილი ყველა დანართი

4.5.6 სამუშაო ადგილზე დამონტაჟებისთანავე მოხსნადი მედია ანტივირუსულმა პროგრამულმა უზრუნველყოფამ ავტომატურად უნდა დაასკანეროს

4.6 Backup და DR

IT ოპერაციების მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს რეზერვი და სარეზერვო გეგმა და გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

4.6.1 უნდა მომზადდეს სარეზერვო ასლების ზუსტი და სრული ჩანაწერები და მოხდეს მათი აღდგენის პროცედურების დოკუმენტირება.

4.6.2 სარეზერვო ასლის მოცულობა (მაგ., სრული ან დიფერენციალური სარეზერვო ასლი) და სიხშირე უნდა ასახავდეს ორგანიზაციის ბიზნეს მოთხოვნებს, ინფორმაციის უსაფრთხოების მოთხოვნებს და ინფორმაციის კრიტიკულობას ორგანიზაციის მუშაობის გასაგრძელებლად

4.6.3 სარეზერვო ასლები უნდა იყოს შენახული შორ ადგილას, საკმარის მანძილზე, რათა თავიდან იქნას აცილებული კატასტროფისგან დაზიანება

4.6.4 რეგულარულად უნდა შემოწმდეს სარეზერვო მედია იმისათვის, რომ შეძლონ დაეყრდნონ მას საგანგებო სიტუაციებში, როცა ამის საჭიროება იქნება. სარეზერვო მონაცემების აღდგენის შესაძლებლობის ტესტირება უნდა

განხორციელდეს სპეციალურ საცდელ საშუალებებზე, არ მოხდეს ორიგინალ მედიაზე გადაწერა. იმ შემთხვევაში, თუ სარეზერვო ასლის შექმნა ან აღდგენის პროცესი ვერ მოხდება, მონაცემების გამოუსწორებელ დაზიანებას ან დაკარგვას გამოიწვევს.

4.6.5 იმ შემთხვევებში, როდესაც კონფიდენციალურობას აქვს მნიშვნელობა, სარეზერვო ასლები დაცული უნდა იყოს დაშიფრული გზით

4.6.6 უნდა განისაზღვროს აუცილებელი ბიზნეს ინფორმაციის შენარჩუნების პერიოდი, ასლების დაარქივების სამუდამოდ შენარჩუნების ნებისმიერი მოთხოვნის გათვალისწინებით

4.7 ლოგირება და მონიტორინგი

სისტემამ უნდა აღრიცხოს მომხმარებლის ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა და ინფორმაციის უსაფრთხოების ყველა მოვლენა, შესაბამისი მოვლენების ჟურნალები უნდა შეიცავდეს:

4.7.1 მომხმარებლების ID-ები;

4.7.2 სისტემური აქტივობები

4.7.3 ძირითადი მოვლენების თარიღები, დრო და დეტალები, მაგ. შესვლა და გამოსვლა

4.7.4 მოწყობილობის ვინაობა ან ადგილმდებარეობა, თუ ეს შესაძლებელია და სისტემის იდენტიფიკატორი;

4.7.5 სისტემაზე წვდომის წარმატებული და უარყოფილი მცდელობების ჩანაწერები

4.7.6 მონაცემებზე და სხვა რესურსებზე წვდომის წარმატებული და უარყოფილი მცდელობები;

4.7.7 სისტემის კონფიგურაციის ცვლილებები;

4.7.8 პრივილეგიების გამოყენება

4.7.9 სისტემის პროგრამებისა და აპლიკაციების გამოყენება

4.7.10 ფაილებზე წვდომა და წვდომის სახეობა

4.7.11 ქსელის მისამართები და პროტოკოლები

4.7.12 წვდომის კონტროლის სისტემის მიერ დაყენებული სიგნალიზაცია

4.7.13 დაცვის სისტემების გააქტიურება და დეაქტივაცია, მაგალითად, ანტივირუსული სისტემები და შეჭრის დეტექციის სისტემები

4.7.14 აპლიკაციებში მომხმარებლების მიერ შესრულებული ტრანზაქციების ჩანაწერები

4.7.15 ლოგები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლის აქტივობასა და ინფორმაციული უსაფრთხოების ღონისძიებებთან, უნდა ინახებოდეს მინიმუმ 3 თვის (ონლაინ) და 24 თვის (კავშირის გარეშე) განმავლობაში

4.7.16 აღრიცხვის ჩანაწერები დაცული უნდა იყოს მოდიფიკაციისა და არაავტორიზებული წვდომისგან;

4.7.17 აკრძალულია აღრიცხვის ლოგების წაშლა ან შეცვლა

4.7.18 სისტემური ადმინისტრატორი, სისტემის ოპერატორი და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობა რეგულარულად უნდა გადაიხედოს

4.7.19 ყველა შესაბამისი ინფორმაციის დამუშავების სისტემის საათები ორგანიზაციის ან უსაფრთხოების დომენის ფარგლებში სინქრონიზებული უნდა იყოს ერთი მითითების დროის წყაროსთან

4.8 ოპერაციული პროგრამული უზრუნველყოფის კონტროლი

IT ოპერაციების მართვის განყოფილებამ უნდა განსაზღვროს პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის პროცედურები შემდეგი მოსაზრებებით:

4.8.1 ოპერაციული სისტემაში პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია ან განახლება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ავტორიზებული და დატრენინგებული ტექნიკოსების მიერ

4.8.2 ოპერაციული სისტემები უნდა ფლობდეს მხოლოდ დამტკიცებულ და თეთრ სიაში მყოფ პროგრამულ უზრუნველყოფებს

4.8.3 კონფიგურაციის მართვის სისტემა გამოყენებული უნდა იყოს ყველა დაინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის და მისი განახლებების კონტროლის მიზნით

4.9 მოწყვლადობის მენეჯმენტი

ყოველ კვარტალში IT ოპერაციების მართვის დეპარტამენტმა უნდა დაამოწმოს მნიშვნელოვანი ინფორმაციული სისტემები ცნობილ მოწყვლადობებზე და შეასრულოს შესაბამისი გამოსწორების გეგმა

4.10 ინფორმაციული სისტემის აუდიტის განხილვები

აუდიტის მოთხოვნები და აქტივობები, რომლებიც მოიცავს ოპერაციული სისტემების ვერიფიკაციას, უნდა იყოს ფრთხილად დაგეგმილი და შეთანხმებული ბიზნეს პროცესების დარღვევის შემცირების მიზნით

5 მონაცემთა ცენტრის უსაფრთხოება

5.1 მონაცემთა ცენტრის პერიმეტრის დაცვა

5.1.1 მონაცემთა ცენტრის პერიმეტრი ფიზიკურად უნდა იყოს იზოლირებული სხვა სამუშაო ოთახებისგან

5.1.2 მონაცემთა ცენტრზე წვდომა დაშვებულია მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალისთვის

5.1.3 მონაცემთა ცენტრი დაცული უნდა იყოს ფიზიკური წვდომის კონტროლით:

- 5.1.3.1 ავთენტიფიკაციისთვის გამოყენებული უნდა იქნას ძლიერი საიდენტიფიკაციო მეთოდები
- 5.1.3.2 მონაცემთა ცენტრზე წვდომის/დატოვების ჩანაწერები ზუსტი თარიღებით უნდა იყოს შენარჩუნებული
- 5.1.3.3 წინასწარ განსაზღვრული უნდა იყოს ყველა უფლებამოსილი პერსონალი, რომელსაც აქვს მონაცემთა ცენტრში დაშვების ნებართვა. ყველა უფლებამოსილ პერსონალს უნდა ჰქონდეს სპეციალური სამკრდე ნიშანი მონაცემთა ცენტრში შესასვლელად
- 5.1.3.4 უფლებამოსილი პერსონალის გარდა, ერთჯერადი დაშვება შეიძლება მიენიჭოს IT ოპერაციების დეპარტამენტის უფროსს, ყველა ვიზიტორს (გარდა ავტორიზებული პერსონალისა) უნდა ახლდეს უფლებამოსილი პერსონალი
- 5.1.4 მონაცემთა ცენტრის შენობაში და პერიმეტრზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვიდეო ჩაწერა 24/7

5.2 ადჭურვილობის უსაფრთხოება (მოთხოვნების შესაბამისად)

ყველა მოწყობილობა, რომელიც ინახავს Crystalbet-ის სენსიტიურ ინფორმაციას უნდა იყოს დაშიფრული, სანამ Crystalbet-ის ფიზიკური დაწესებულებიდან გავიტანთ. ადჭურვილობის არასრული ჩამონათვალი:

- 5.2.1 ლეპტოპი
- 5.2.2 ფლემ მებსიერება
- 5.2.3 მყარი დისკი
- 5.2.4 ა.შ.

6 კომუნიკაციების უსაფრთხოება

6.1 ქსელის უსაფრთხოების მენეჯმენტი

კონტროლი უნდა განხორციელდეს ქსელებში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და დაკავშირებული სერვისების უნებართვო წვდომისგან დაცვის მიზნით. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

- 6.1.1 ტრანზიტის დროს მონაცემთა შიფრაცია უნდა იყოს გათვალისწინებული, რათა დაცული იყოს მონაცემთა კონფიდენციალურობა და მთლიანობა.
- 6.1.2 შესაბამისი აღრიცხვის და მონიტორინგის გამოყენება საშუალებას უნდა იძლეოდეს ჩაიწეროს და გამოავლინოს მოქმედებები, როლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე
- 6.1.3 სისტემების კავშირი ქსელთან უნდა შეიზღუდოს.

7 შესაბამისობა და მიმოხილვა

ამ პოლიტიკის ნებისმიერი შეუსაბამობა უნდა იყოს გამართლებული და დამოწმებული გენერალური დირექტორის მიერ.

8 მიმოხილვა

ამ პოლიტიკაში აღწერილი წესები უნდა შემოწმდეს შესაბამისობაზე და შედეგებზე, რომლებიც მენეჯმენტს უნდა წარედგინოს წელიწადში ერთხელ მაინც.

თამაშების მართვის სისტემების აღწერილობა

ვებ საიტზე ინტეგრირებულ ყველა თამაშების პროვაიდერისგან კომპანიას მიეწოდება მათი პროდუქტის/თამაშობების სამონიტორინგო ადმინ პანელები(Back Office). ყველა Back Office არის ვებ პლატფორმაზე დაფუძნებული და შესაბამისად სისტემაში შესვლა ხორციელდება პროვაიდერის მიერ მოწოდებული ვებ მისამართის და ჩვენს მიერ მოთხოვნილი მომხმარებლის სახელის და პაროლის საშუალებით. აღნიშნული ადმინ-პანელები გამოიყენება მომხმარებელთა თამაშების სესიების და აქტივობების სანახავად (მონიტორინგისთვის) და ასევე მათი ტექნიკური მხარდაჭერისთვის.

კონკრეტულ ადმინს გააჩნია მომხმარებლის სამიზნე ველი რის მიხედვითაც შესაძლებელია კონკრეტული მომხმარებლის მოძებნა და ნახვა მისი ყველა შესრულებული ტრანზაქციის და აქტივობის. მოძებნა ხდება კლიენტის უნიკალური კოდის საშუალებით.

ადმინში ინახება მოთამაშის უშუალო აქტივობა დროის კონკრეტულ მომენტში ან პერიოდში. აქტივობაში იგულისხმება კლიენტის თამაშში შესვლის დრო, კონკრეტულად რომელ თამაშში არის აქტიური, სესიები თამაშის პროცესში, მისი განხორციელებული ტრანზაქციები, კონკრეტული სესიის შედეგები და მისი თამაშის დასრულების დრო.

ადმინებს გააჩნია კლიენტის დაბლოკვის ფუნქციონალი, რაც გულისხმობს რომ დაბლოკვის შემდეგ იუზერი ვერ შეძლებს თამაშის დაწყებას შესაბამის პროვაიდერის ვერც ერთ თამაშში. შესაბამისად ადმინში ინახება ინფორმაცია კლიენტის სტატუსის(დაბლოკილია თუ არა) შესახებ.


ადმინ-პანელში შესაძლებელია სხვადასხვა თამაშის ტურნირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოძიება(ასეთის არსებობის შემთხვევაში), როგორცაა ტურნირის დაწყების დრო, დასრულების დრო, მონაწილეთა რაოდენობა, ბაინის ღირებულება, საპრიზო ადგილების ფულადი პრიზების ოდენობები და ტურნირის დასრულების შემდეგ გამარჯვებული მომხმარებლების სია.

ასევე შესაძლებელია მომხმარებლების IP მისამართების ნახვა თუ რომელი მისამართიდან შემოვდნენ თამაშში და რა დროს. ადმინ-პანელთან წვდომა შეზღუდულია ოფისის გარედან, რაც ნიშნავს რომ წვდომა დასაშვებია პროვაიდერებისთვის მიწოდებულ ოფისის შიდა აიპი მისამართიდან(White Listed IP), რაც გამორიცხავს უცხო ადამიანის არასანქცირებულ წვდომას ადმინ-პანელის ინფორმაციაზე. ასევე ხდება პერიოდულად კომპანიის თანამშრომლების პაროლის ცვლილება

უსაფრთხოების მიზნით. მოთხოვნა ადმინ-პანელების პაროლებზე არის კომპლექსური რომელიც შეესაბამება კომპანიის შიდა უსაფრთხოების ნორმებს: მინიმუმ 8 სიმბოლო, დიდი და პატარა ასო, მინიმუმ 1 სპეც სიმბოლო.

თამაშების მართვის სისტემის(პლატფორმის) ტექნიკური დოკუმენტაცია

ქვემოთ მოყვანილია პლატფორმის დატაცენტრში განთავსების ტექნიკური სქემა, რომლის განმარტებაც და დეტალები მოცემულია სქემის ქვემოთ.



პლატფორმა განთავსებულია ლოკაციურად დაშორებულ 2 სხვადასხვა დატაცენტრებში რომელთა შორის მანძილი დაახლოებით 10კმ. თითოეული დატაცენტრი აღჭურვილია სრულიად იდენტური სერვერული, ქსელური, მონაცემთა შენახვის მოწყობილობებით და უსაფრთხოების სისტემებით.

პლატფორმის მონაცემთა ბაზები განთავსებულია 3 ფიზიკურ სერვერებზე რომელიც სრულიად პასუხობს მონაცემთა დაცვის მაღალმდგრადობას. მონაცემთა ბაზის შესანახად და სამართავად პლატფორმა იყენებს Microsoft SQL Server-ს. პლატფორმის ძირითადი ვებ სერვერებიც ასევე განთავსებულია 2 ფიზიკურ სერვერზე, რომელთა ტრაფიკი და მაღალმდგრადობა ბალანსდება F5-BIG IP დევიასით.

დატაცენტრებში 9 ვირტუალურ სერვერებზე მუშაობს სხვადასხვა სერვისებზე პასუხისმგებელი აპლიკაციები, როგორცაა ცენტრალიზებული ფეიშენტ სისტემა, სხვადასხვა პროვაიდერებისგან მოწოდებული პროდუქტების(თამაშების) ვებსერვისები და აპლიკაციები, ინფრასტრუქტურების სერვისების მხარდამჭერი აპლიკაციები როგორცაა მეილ სისტემა, Active Directory და ასე შემდეგ, ანალიტიკისთვის და რეპორტირებისთვის გამართულია ცალკე გარემო Data Wear House(DWH), და მასთან დაკავშირებული აპლიკაციები Qlick, Optimove.

აღნიშნული სერვერები კლასიკური ტოპოლოგიით დაკავშირებულია შესაბამის ინტერფეისებით რუტერებთან და

დაცულია ფაიროველებით.

პლატფორმის კოდი და ყველა საჭირო ვებ სერვისი დაწერილია Microsoft Dot Net ტექნოლოგიაზე.

პლატფორმის სისტემას გააჩნია ყველა ის ძირითადი კომპონენტის მხარდაჭერა რაც უზრუნველყოფს


მომხმარებლებისთვის სრულფასოვან ფუნქციონალს, რომელთა მოდულები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- სისტემაში დალოგინების, სესიების მენეჯმენტის და მომხმარებლის სახელის და პაროლის აღდგენა/შეხსენების მოდული
- მომხმარებლის საიტზე რეგისტრაცია.
- მომხმარებლის ვერიფიკაცია, რომელიც მოიცავს შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვას და დასტურების გაგზავნას მომხმარებლისთვის და შემდეგ შესაბამისი შეტყობინების საკომუნიკაციო არხებით გაგზავნას
- სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან თანხების შემოტანის და გატანის მოდული, პირდაპირი ინტეგრაციის საშუალებით აღნიშნულ ფინანსურ პროვაიდერებთან, როგორც E-commerce ასევე E-Wallet და offline cash desk ებთან.
- ბონუსების დარიცხვის ცენტრალიზებული მოდული, შესაბამისი ფინანსური ტრანზაქციების ლოგირებით.
- სპორტბუქის მართვის ინტეგრირებული მოდული, რომელიც მოიცავს როგორც პრე-მატჩების ასევე ლაივ ივენთების სხვადასხვა სპორტ პროვაიდერებიდან მიღებული ფიქჩერების მონაცემთა ბაზებში რეგისტრაციებს და შემდეგ საიტზე გამოტანას.
- სპორტული ივენთებისთვის როგორც პრე-მატჩებისთვის ასევე ლაივ ივენთებისთვის შედეგების მიღება.
- მომხმარებლებისგან სპორტბუქზე დადებული ფსონების მიღების, მოსული შედეგების მიხედვით მიღებული ფსონების გადათვლის და მოგებების დარიცხვის მოდული.
- ფრიბეთების მომხმარებლებისთვის დარიცხვის და დადების მოდული
- დადებული ბილეთების ისტორიის ნახვა
- სასურველი სპორტული ივენთების ფილტრაციების და ძებნის მოდული
- მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის მოდული, რომელიც ინტეგრირებულია 2 სხვადასხვა პროვაიდერებთან, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ მდგრადობას.
- შიდა მესენჯერის მოდული, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის შიდა კომუნიკაციით სიახლეების და ინფორმაციის გაგზავნას.
- ლაივ ჩატის მოდული, რომელის საშუალებითაც მომხმარებლებს შეუძლიათ 24/7 ცხელ ხაზთან კომუნიკაცია
- მიმდინარე და დასრულებული აქციების მართვის მოდული
- ფროდის მონიტორინგისა და კონტროლის მოდული
- კაზინოს და სლოტ თამაშების პროვაიდერებთან პირდაპირი ინტეგრაციების მოდულები რომელიც უზრუნველყოფს საიტზე შესაბამისი პროვაიდერების თამაშების გამოტანას და ფუნქციონირებას.

პლატფორმის ეს მოდული ყველა გარე პროვაიდერთან ანხორციელებს ეგრეთწოდებულ **სიმლესინტეგრაციას**, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის ბალანსზე არსებული თანხის პირდაპირ გამოყენებას, თანხის მომწოდებლის მხარეს გადატანის გარეშე.

- მომხმარებლების ტრანზაქციების ისტორიის დათვალიერების მოდული
- მომხმარებლების პროფილის მართვის მოდული

იხილეთ პლატფორმის ფიზიკურ და ლოგიკურ მოდულებთან კავშირის ტექნიკური დიაგრამა



ფინანსური ტრანზაქციების აღრიცხვისა და შენახვის დეტალური აღწერილობა

კომპანიაში დანერგილია კომპანიის ვებ საიტის პლატფორმის ადმინ-პანელი, რომელსაც საშუალებითაც ხორციელდება საიტის გლობალური მონიტორინგი და ფუნქციონალური მართვა.

ადმინ-პანელში დალოგინება ხდება მხოლოდ კომპანიის Active directory ში გაწერილი აქტიური თანამშრომლების მიერ. დალოგინება ხდება მისი იუზერის ელფოსტის და კომპლექსური პაროლის საშუალებით რომელიც აკმაყოფილებს კომპანიის პაროლების პოლისის ყველა წესს(მინ. 8 სიმბოლო, დიდი და პატარა სიმბოლო, მინიმუმ 1 სპეც სიმბოლო და მინ 1 რიცხვი). პაროლის ცვლილება ასევე ხდება შესაბამის პერიოდულობით.

ქვემოთ ჩმოთვლილია ადმინ-პანელის ძირითადი ფუნქციები:

მომხმარებლების ძებნა პინკოდით ან მომხმარებლის სახელით

მომხმარებლის შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა, როგორცაა, რეგისტრაციის თარიღი, ვერიფიკაციის გზა/სტატუსი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, ბოლო დალოგინების თარიღი, დეტალური დალოგინების ისტორია, ბალანსზე არსებული თანხა, ყველა მისი განხორციელებული ტრანზაქციების დეტალური სია, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსურ და თამშების დეტალურ ტრანზაქციებს(დეპოზიტები, გატანები, რომელი არხით განხორციელდა დეპოზიტი თუ გატანა), მომხმარებლის ანგარიშის სტატუსის ინფორმაცია(დაბლოკილია, გაუქმებულია თუ დროებით შეჩერებულია).

პანელიდან შესაძლებელია ყველა არხიდან განხორციელებული ფინანსური ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ფინანსური ტრანზაქციების დაფილტვრა შესაძლებელია არხების მიხედვით, თარიღის პერიოდის მიხედვით. პანელში მოცემულია:

- საოპერაციო ტრანზაქციების დეტალური სია მომხმარებლების ჭრილში, აქტიურობა თამაშებში, გაკეთებული ფსონები, მოგებები და .ა.შ.
- სპორტზე დადებული ფსონების დეტალური სია, სადაც ჩანს თითოეული მომხმარებლის მიხედვით განხორციელებული ყველა ფსონი და მოგებები, ასევე დადებული ბილეთების შესაბამისი სტატუსი(მოიგო, წააგო თუ მიმდინარეა), გამორჩეულია ფრიბეთით განხორციელებული ფსონები.

პანელში მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია დაიფილტროს შემოსული ფსონების, მომხმარებლის, ბილეთის სტატუსის და

თარიღის შუალედის მიხედვით დამატებითი ანალიზისთვის და მონიტორინგისთვის.

პანელში ცალკე ჯგუფად არის მოცემული:

- ბეთინგისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალი რომლის საშუალებითაც ბეთინგის თანამშრომლები ანხორციელებენ სპორტული ბადის შექმნას და კონტროლს, ასევე ანგარიშების მონიტორინგს და შეყვანის პროცედურებს.
- საიტის საბანერო მენეჯმენტის ფუნქციონალი, რომელიც უზრუნველყოფს საიტზე სად რომელი ბანერი გამოვიდეს და რა დროით.
- მოკლე ტექსტური შეტყობინებების დაგზავნის ფუნქციონალი და მის პოლიტიკის განსაზღვრის საშუალებები.
- მომხმარებლების ვერიფიკაციის მონიტორინგის და კონტროლის ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება მომხმარებლების ვერიფიკაციის დადასტურება ან უარყოფა შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების დროს.

ყველა შემოსული ფინანსური თუ საოპერაციო/თამაშების ტრანზაქციები აკმაყოფილებს უსაფრთხოების შესაბამის სტანდარტებს რომლებიც ხორციელდება ყველა დაცული არხის საშუალებით როგორცაა SSL/TLS პროტოკოლი.

მონაცემები ინახება კომპანიის 2 დამოუკიდებელ დატაცენტრში, რომლებიც მდებარეობენ ლოკაციურად სხვადასხვა ადგილას და მათ შორის მინიმალური არის დაახლოებით 10კმ.

ორივე დატაცენტრი აღჭურვილია უახლესი სასერვერო ტექნიკით და ქსელური ინფრასტრუქტურული მოწყობილობებით. მონაცემთა ბაზები განთავსებულია რამოდენიმე ფიზიკურ მაღალ მდგრადობის სერვერებზე, სადაც უზრუნველყოფილია ნებისმიერი მაღალი წარმადობის (Enterprise Class SSD) დისკის დაზიანების შემთხვევაში მისი ავტომატური ჩანაცვლება სარეზერვო დისკით. ასევე მონაცემთა ბაზის მუშაობის ლიგეკა ეფუძნება ეგრეთ წოდებულ “SQL Server AlwaysOn“ ტექნოლოგიას, რაც უზრუნველყოფს დატაცენტრების მონაცემთა ბაზების მაღალმდგრადობას.

ყოველ ერთ საათში ხორციელდება ინკრიმენტალ ბექაპების აღება მონაცემთა ბაზებიდან და შენახვა შესაბამის მოწყობილობებზე. ასევე ყოველდღიურად ხდება სრული ბექაპის მოხსნა მონაცემთა ბაზებიდან და მისი შენახვა ბექაპ დევაისებზე რომლებიც ასევე განთავსებულია ორივე დატაცენტრში და არის დუბლირებული.

რეგისტრირებული მომხმარებლების პაროლები ინახება ინახება კრიპტირებული სახით, ხოლო საბანაკო ბარათები ინახება მხოლოდ დამასკული სახით (მაგ: 25*****6525) რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ინსტიტუტების PCI-DSS სტანდარტებს.

მონაცემები ძირითადი მონაცემთა ბაზებიდან გადადის ყოველდღიურად ეგრეთ წოდებულ დატაცენტრში(DWH) შესაბამისი ITL პროცედურების გავლით. DWH ში გადადის აგრეგირებული ფინანსური და საოპერაციო ტრანზაქციები, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ყველა ფინანსური რეპორტინგის წარმოება.

ასევე დანერგილია რეპორტინგის სისტემა QLIK ი რომელშიც ასვე აგრეგირებული მონაცემები გადადის და გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ

მთლიანად დატაცენტრების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ქსელურ დონეზე basic cisco router harden procedures წესებით, სადაც დაკტილია გარედან ნებისმიერი არასანქცირებული წვდომა, დატაცენტრში არსებულ ყველა სერვისის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს CISCO ASSA Firewall მოწყობილობა. შემუშავებული უსაფრთხოების შესაბამის პოლისები რომელიც იმპლიმენტირებულია აღნიშნულ ფაირვოლში. თვითონ დატაცენტრები აღჭურვილია თანმედროვე უწყვეტი კვების წყაროებით და სახანძრო სისტემებით, რკინის კარით სადაც დაშვება ხორციელდება მხოლოდ ავტორიზირებული თანამშრომლების.

დამატებითი დებულებები.

1. ინტერნეტ-სამორინე (შემდგომში კომპანია) არის იურიდიული პირი რომელის მფლობელობაშიც არის ვებ გვერდი WWW.CRYSTALBET.COM ყველა თამაში რომელიც განთავსებულია WWW.CRYSTALBET.COM-ზე ეფუძნება მხოლოდ რეალურ ფულზე თამაშს.
2. წინამდებარე წესები წარმოადგენს სამართლებრივ შეთანხმებას, მოთამაშეს, მონაწილე ანუ პიროვნება რომელიც დარეგისტრირებულია „კომპანია“-ს ვებ გვერდზე WWW.CRYSTALBET.COM შორის.
3. ყველა მოთამაშე ვალდებულია შპს „მარსი“-ს ვებ-გვერდზე WWW.CRYSTALBET.COM-ზე რეგისტრაციისას გაეცნოს ვებ გვერდით სარგებლობის წესებს. რეგისტრაცია ნიშნავს დარეგისტრირებული მომხმარებლის თანხმობას შპს „მარსი“-ს ვებ გვერდით საგებლობის და გათამაშების წესებზე.
4. წესების არ ცოდნა არ წარმოადგენს ფსონის გაუქმების ან ხელშეკრულების მოშლის სხვა ნებისმიერ მიზეზს და წინამდებარე წესების თანახმად, მოთამაშეს არ ანთავისუფლებს ფსონიდან გამომდინარე მისი ვალდებულებებისაგან. მოთამაშის მის განთავსებულ ფსონთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხი გადაწყდება შპს „მარსი“-ს გათამაშების წესების თანახმად.
5. „კომპანია“ უფლებას იტოვებს შეცვალოს ნებისმიერი გათამაშების წესი მის სისტემაში რეგისტრირებული მოთამაშეების გაფრთხილების გარეშე.
6. სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები ვალდებული არიან პერიოდულად გადაამოწმონ და გაეცნონ ინტერნეტ-სამორინეს მიერ მიღებულ დებულებებსა და გათამაშების პირობებში შეტანილ ცვლილებებს.
7. თარგმანთან დაკავშირებით აღმოჩენილ რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება ქართულ ენას.
8. WWW.CRYSTALBET.COM-ზე რეგისტრაციის და სისტემით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირებს რომელთა ასაკიც აღემატება 21 წელს.
9. ინტერნეტ-სამორინეს კუთვნილ ვებ-გვერდზე რეგისტრაციის შედეგად მოთამაშის მიერ შეყვანილი პაროლი, არის საიდუმლო და სასტიკად იკრძალება მისი განდობა მესამე პირზე. მხოლოდ მოთამაშეა საკუთარი პაროლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი. „კომპანია“ არ აგებს პასუხს WWW.CRYSTALBET.COM-ზე რეგისტრირებული მოთამაშეების პაროლის უსაფრთხოებაზე და იმ ზიანზე რომელიც შეიძლება მათ მიადგეთ იმ შემთხვევაში თუ არ იზრუნებენ საკუთარი მომხმარებლის (იუზერის) უსაფრთხოებაზე.
10. რეგისტრაციისას მომხმარებელი ვალდებულია ზუსტად და სრულად მიუთითოს პირადი მონაცემები. „კომპანია“ იტოვებს უფლებას დაბლოკოს, ასევე უარი უთხრას სისტემიდან თანხის გატანაზე იმ მოთამაშეებს, რომლებმაც განზრახ ან შეცდომით მიუთითეს არასწორი პირადი ნომერი.
11. მოთამაშის პირადი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტა) შეცვლის შემთხვევაში ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას ცვლილების შედეგად რეგისტრირებულ მომხმარებელზე არ გასცეს მოგებული თანხა, ცვლილების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში. მოგებული თანხის აღება „კომპანია“-ის ინტერნეტ-სალაროდან შესაძლებელია მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ ან/და ცვლილებამდე რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ გაცემული ნოტარიალურად დადასტურებული მინდობილობის საფუძველზე.
12. მოთამაშის მიერ, ელექტრონული სისტემებიდან (მომენტალური გადახდის აპარატი, ინტერნეტ-გადახდები და სხვა), ბალანსის შევსების მომენტში, მოთამაშის მიერ თანხის სხვა პირად ნომერზე შეცდომით გადარიცხვის შემთხვევაში, კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას აღნიშნული თანხის დაბრუნებასთან ან/და გადატანასთან დაკავშირებით. შეცდომით, სხვა პირად ნომერზე გადარიცხული თანხის დაბრუნება მომხმარებლისათვის შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
13. პიროვნებას WWW.CRYSTALBET.COM-ზე აქვს მხოლოდ ერთი ანგარიშის გახსნის უფლება. დარეგისტრირებულ მომხმარებლებს არ შეუძლიათ მეორედ დარეგისტრირდნენ, როგორც ახალი მომხმარებელი. წინამდებარე შემთხვევაში კომპანიას აქვს უფლება, გააუქმოს კლენტის მიერ გაკეთებული ყველა ფსონი, რომელიც იქნა განხორციელებული შესაბამის ანგარიშიდან და ამ კონკრეტულ მომხმარებელს დაუბლოკოს ანგარიში განუსაზღვრელი ვადით.
14. კომპანია იტოვებს უფლებას რომ შეუჩეროს ანგარიში იმ პირებს რომლებიც WWW.CRYSTALBET.COM-ზე საკუთარ ანგარიშს იყენებენ არამიზნობრივად. ანუ თუ მოთამაშე მის მიერ ჩარიცხული თანხის მინიმუმ 30%-ს არ გამოიყენებს სათამაშოდ ან თამაშის პროცესში ადმინისტრაციის მიერ შემჩნეული იქნება შეთანხმებული თამაში - ხელოვნური წაგება ან ხელოვნური მოგება კომპანია იტოვებს უფლებას ასეთ მომხმარებლებს შეუზღუდოს ანგარიშით სარგებლობის უფლება მინიმუმ 90 დღით რათა დადგინდეს კონკრეტული მოთამაშეების ამ ქმედების მიზეზი და ასევე კომპანია იტოვებს უფლებას ამ ტიპის თანხების გაცემის შემთხვევაში მოთამაშეს ჩამოაჭრას გატანილი თანხის 3%.
15. განზრახ თამაშის წაგება (გულისხმობს პოკერის თამაშის საყოველთაოდ მიღებული წესების დარღვევას. მაგალითად, მოთამაშის ბანქოს მოგვებიანი კომბინაციის სხვა მოთამაშის კომბინაციასთან თამაშის წინასწარ წაგებას, და ა.შ) რათა მასთან გადავიდეს თანხა და/ან სათამაშო ჩიპები.
16. როდესაც ერთ მაგიდაზე ორი ან რამდენიმე მოთამაშე შეთქმულია ან/და ინფორმაციას ცვლიან, რათა უპირატესობა მოიპოვონ სხვა მოთამაშეებზე. (პოკერის სათამაშო მაგიდასთან ერთი მოთამაშის მიერ მეორე მოთამაშის სათამაშო ბანქოს კომბინაციების ცოდნა)

17. (Bots) ნებისმიერი სპეციალური პროგრამა, რომელიც კარნახობს მოთამაშეს სვლებს და დაყრდნობილია თამაშის ანალიზზე, მიუხედავად იმისა ეს პროცესი ავტომატურია თუ არა, ასევე იყენებს- ICM calculator

18. როდესაც მოთამაშე ხსნის ერთზე მეტ პირად ანგარიშს ან სხვისას ხმარობს. კრისტალბეთის ყველა მოთამაშეს უფლება აქვს, რომ ჰქონდეს მხოლოდ ერთი პირადი ანგარიში და მხოლოდ დარეგისტრირებულ მომხმარებელს აქვს უფლება ითამაშოს ამ ანგარიშით

კრისტალბეთი გაითვალისწინებს მრავალ ფაქტორს სანქციებთან დაკავშირებით, რომელიც იქნება გამოყენებული მოთამაშეების მიმართ რომლებიც არღვევენ 15, 16, 17, 18 პუნქტებში აღნიშნულ წესებს.

სამართლიანი თამაშის შეთანხმების დარღვევის გამო, მოთამაშეების ანგარიში დაიბლოკება და მოთამაშეს არ მიეცემა ამ ანგარიშის გამოყენების და შესაბამისად ანგარიშზე არსებული თანხის მიღების უფლება დარღვევის აღმოჩენიდან 2 წლამდე ვადით. კომპანიის მენეჯმენტს აქვს სრული უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება ანგარიშის დაბლოკვის თაობაზე.

ასევე კომპანიას აქვს უფლება, რომ ამ წესების დარღვევის გამო დამრღვევ მოთამაშეს დაუწესოს სანქციები საკუთარი შეხედულებისამებრ.

19. WWW.CRYSTALBET.COM-ის სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებელი პირადად არის პასუხისმგებელი სისტემით სარგებლობის პროცესში მომსახურების მისაღებად თავისი სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და ინტერნეტის გამართულ მუშაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში „კომპანია“ არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებელსა და კომპანიის ქსელში წარმოქმნილი ხარვეზის გამო მოთამაშეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

20. მომსახურების მიღების მთელი პერიოდის განმავლობაში "მოთამაშე" იძლევა გარანტიას და აცხადებს თანხმობას შემდეგზე:

- თამაშის შედეგად არსებობს მოთამაშის მიერ ფულადი სახსრების წაგების რისკი და კომპანია პასუხისმგებელი არ არის ასეთი სახის ზიანზე;
- მოთამაშე თავისი ნებით თანხმდება მომსახურების მიღებაზე, ამასთან თამაშის ტიპს არჩევს თვითონ მოთამაშე;
- მოთამაშე იღებს ერთპიროვნულ ვალდებულებას თვითონ გადაიხადოს გადასახადები (მათ შორის თანხის გატანის საკომისო), რომლებიც შეიძლება დაერიცხოს მისთვის გაცემულ მოგებულ თანხებს;
- მოთამაშე პასუხისმგებელია მომსახურების მისაღებად საჭირო თავისი სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და ინტერნეტის გამართულ მუშაობაზე.

21. „კომპანია“ არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობაზე, ვირუსებზე, რომელთა შედეგად შეიძლება დაკარგულ იქნას მონაცემები ან სხვაგვარად დაზიანდეს თქვენი კომპიუტერი ან პროგრამული უზრუნველყოფა. ასევე კომპანია არ არის ვალდებული უზრუნველყოს დამატებითი ან სარეზერვო ქსელი და/ან სისტემებით.

22. ნებისმიერი ტექნიკური თუ მექანიკური ხარვეზი განიხილება როგორც შტატგარეშე გარემოება (ისეთი, როგორცაა მაგალითად: "No Spin", "Invalid Game", ინტერნეტ პროვაიდერიდან კავშირის დაკარგვა ა.შ.), ამ შემთხვევაში „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. თამაშის პროცესში მომხმარებლის მხრიდან ინტერნეტ კავშირის წყვეტის შემთხვევაში წყვეტამდე მიღებული ფსონები რჩება ძალაში. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერნეტ-წყვეტა ან სხვა ტექნიკურ გაუმართაობა ხდება იმ ადგილებში, სადაც კომპანია სთავაზობს კომპიუტერზე ხელმწიასწვდომობას მომხმარებელს, მათ შორის ორგანიზაციის ობიექტებში.

23. WWW.CRYSTALBET.COM-ის სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ თაღლითობის გამოვლენის შემთხვევაში, რომლის შედეგადაც შპს „მარსი“-ს მიადგება ფინანსური ან მორალური ზიანი, კომპანია იტოვებს უფლებას:

- აუკრძალოს თანხის დადება ან გააუქმოს უკვე დადებული ფსონი/თანხა;
- გააუქმოს კლიენტის ანგარიში და მისი ფულადი ბალანსი;
- გააუქმოს და დაუბლოკოს სისტემასთან წვდომის უფლება;
- მიმართოს სასამართლოს ნებისმიერი მისი სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლის საეჭვო ქმედების აღსაკვეთად;
- სასამართლოს გზით მოსთხოვოს მოთამაშეს მიყენებული ზარალისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება;

24. თამაშის დროს ტექსტური შეტყობინებების გაცვლისას მოთამაშეებს ეკრძალებათ უკანონო, უცენზურო, ამორალური ხასიათის მატარებელი, დამუქრების ხასიათის მატარებელი და სხვა მსგავსი ტექსტებისა და ტერმინების გამოყენება. ეკრძალებათ ნებისმიერი სახის პროდუქციის ან/და მომსახურების რეკლამირება. ამ შემთხვევაში ორგანიზატორი იტოვებს უფლებას ცალმხრივად გათიშოს მოთამაშე.

25. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს რაიმე მიზეზის გამო არასწორად დაერიცხა თანხა, ის (მომხმარებელი) ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის წარმომადგენლობას და დაუყოვნებლივ დააბრუნოს იგი კომპანიის წარმომადგენლის მითითებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში ან თუ მომხმარებელმა ეს თანხა სისტემიდან გაიტანა ან სხვაგვარად გახარჯა, კომპანია იტოვებს უფლებას ამ ფაქტის შესახებ მიმართოს შესაბამის სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოებს თანხის უკანონოდ მითვისებისთვის, მოითხოვოს მომხმარებლის დასჯა და მისგან მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამასთან არასწორ ჩარიცხვად ითვლება ნებისმიერი ჩარიცხვა მომხმარებლის ბალანსზე, რომელიც არ იყო გამოწვეული თამაშის ან ფსონის მოგებით ან სხვა კანონიერი გზით, მათ შორის ბალანსზე თანხის შეტანით, ან ბალანსზე დაერიცხა სისტემის ნებისმიერი შეცდომის გამო.

26. იმ შემთხვევაში თუ მონაცემი შეცდომით იქნა შეყვანილი და ამ შეცდომის შედეგად მოთამაშეს დაერცხა ზედმეტი თანხა, "თამაშის ორგანიზატორი" იტოვებს უფლებას, მოახდინოს მოგებული თანხის ხელახალი გადაანგარიშება და ჩამოაჭრას მოთამაშეს შეცდომით დარიცხული თანხა, ან პირიქით.

27. კომპანია იტოვებს უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ უარი უთხრას ნებისმიერ პირს ვებ-WWW.CRYSTALBET.COM-ზე რეგისტრაციის გავლაზე და ფსონის დადებაზე. ამავდროულად არ მისცეს მას განმარტება უარის მიზეზზე.

28.21 წლამდე ასაკის პირისათვის ინტერნეტ-სამორინე, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირისათვის – სათამაშო აპარატების სალონსა და მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილას შესვლა ან/და თამაშობაში (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ ახარტულ თამაშობაში) მონაწილეობა აკრძალულია.

29. "კომპანია" იტოვებს ინფორმაციის გადამოწმების უფლებას არაკანონიერი ქმედების თავიდან ასაცილებლად. აგრეთვე ვიტოვებთ უფლებას, ვაწარმოოთ კრძოლ გამოძიება იმ მიზნით რომ დავადგინოთ ნამდვილად ხართ თუ არა 21 წლის და ზემოთ.

30. იმ შემთხვევაში თუ ხელმისაწვდომი არ არის მომხმარებლის ასაკის გადამოწმება, "კომპანია" ასევე იტოვებს უფლებას მოთამაშეს მოსთხოვოს ასაკის დადასტურება.

31. შესაძლოა შეჩერდეს მომხმარებელთა ანგარიშები და მათი თანხები იქნეს დაკავებული მანამ, სანამ გათვალისწინებული ასაკი არ იქნება დამტკიცებული.

32. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანს ხელი მიუწვდება ინტერნეტთან დაკავშირებულ კომპიუტერთან, შესაძლოა არაკეთილსინდისიერი გამოყენებისაგან თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ შეინახოთ თქვენი ანგარიშის ნომერი, მომხმარებლის სახელი და პაროლი საიდუმლოდ.

33. კომპანია არ დაუშვებს შეურაცხყოფელ ქცევას მომსახურების მომხმარებლების მხრიდან კომპანიის თანამშრომლების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია, თავისი შეხედულების და მიხედვით ჩათვლის, რომ მომხმარებლის ქცევა ტელეფონის, პირდაპირი ჩატი, ელ-ფოსტით ან სხვა საშუალებებით იყო შეურაცხყოფელი ან დამამცირებელი კომპანიის ნებისმიერი თანამშრომლისთვის, კომპანიას უფლება ექნება დაბლოკოს ან შეწყვიტოს მომხმარებლის ანგარიში კომპანიაში და ასეთ სიტუაციაში, კომპანიას არ ეკისრება არანაირი ვალდებულება დააბრუნოს ფულადი სახსრები, რომელიც შესაძლოა იყოს მომხმარებლის ანგარიშზე.

34. მკაცრად იკრძალება პროგრამული უზრუნველყოფის თავდაპირველი კოდის ან მისი ნებისმიერი ნაწილის შეცვლა, ადაპტირება, გადაყვანა, გადაკეთება, დეკომპილაცია, დარღვევა ან ნებისმიერი სხვა გზით მისი გამყვანების მცდელობა, ასევე აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის წარმოებულების (დერივაციების) შექმნა, წარმოება ან გავრცელება.

35. კომპანიას შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და გააუქმოს მოთამაშის ანგარიში (მათ შორის მისი მომხმარებლის სახელი და პაროლი) შეტყობინების გარეშე:

ა) თუ ნებისმიერი მიზეზით კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას შეწყვიტოს მომსახურების გაწევა ყველა ან მხოლოდ კონკრეტული მოთამაშისთვის;

ბ) თუ კომპანია თვლის, რომ მოთამაშემ დაარღვია წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება;

გ) თუ მოთამაშემ არაკანონიერად გამოიყენა მომსახურება ან ასეთი გამოყენება ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულების არსს; ან

დ) ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელსაც კომპანია მისაღებად თვლის.

თუ წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება მოთამაშის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო, კომპანია არ კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მოთამაშეს თანხა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს მის ანგარიშზე და მოთამაშე არ იქნება უფლებამოსილი წაუყენოს პრეტენზიები კომპანიას აღნიშნულთან დაკავშირებით.

36. არც კომპანია (მათ შორის, მისი თანამშრომლები ან უფლებამოსილი პირები) და არც კომპანიის პარტნიორები თუ მომწოდებლები არ არიან პასუხისმგებელი ნებისმიერ ზარალზე, გაშვებული მოგების ჩათვლით, რომელიც დადგა კომპანიის ან მათი შეცდომის მიზეზით.

37. მომხმარებელი ადასტურებს, რომ რეგისტრაციის დროს, ასევე გადახდის განხორციელებასთან დაკავშირებით ოპერაციების შესრულებისას კომპანიისთვის მიცემული ყველა მონაცემი არის სწორი, კანონიერი, ნამდვილი და სრული და შეესაბამება საკრედიტო/სადებეტო ბარათზე (ბარათებზე) ან სხვა გადახდის ანგარიშზე მითითებულ სახელს/სახელებს, რომელიც გამოყენებულ იქნება მომხმარებლის ანგარიშზე თანხის კრედიტირების ან ანგარიშიდან დეპოზიტებისთვის.

თუ მომხმარებელი იყენებს საკრედიტო/სადებეტო ბარათს ან სხვა გადახდის მეთოდებს, რომელიც არ არის გაფორმებული მის პირად სახელზე, ჩვენ ჩავთვლით, რომ მომხმარებელმა მოიპოვა სრული თანხმობა მათი კანონიერი მფლობელისგან კაზინოს მომსახურებებში მათი გამოყენების შესახებ. ჩვენ არ ვართ ვალდებული შევამოწმოთ ასეთი თანხმობა და არ ვკისრულობთ პასუხისმგებლობას თქვენს განცხადებებთან დაკავშირებით წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

თუ მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აღმოჩნდება არასწორი, განზრახ მცდარი ან არასრული, მომხმარებელი არღვევს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე გარდა იმ ზომებისა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ, კაზინო ინარჩუნებს უფლებას დახუროს თქვენი ანგარიშები.

38. საექვო ან თაღლითური გადახდის შემთხვევაში, მათ შორის მოპარული საკრედიტო ბარათების გამოყენების ან ნებისმიერი სხვა თაღლითური მოქმედების შემთხვევაში (მათ შორის ნებისმიერი უკუდარიცხული თანხა, გადახდის

გაუქმება), კომპანია ინარჩუნებს უფლებას დაბლოკოს მომხმარებლის ანგარიში, გააუქმოს გადახდა და მიიღოს მოგებული თანხები. კომპანიას უფლება აქვს აცნობოს ნებისმიერ რელევანტურ ორგანოს (მათ შორის საკრედიტო სააგენტოებს) ნებისმიერი თაღლითური გადახდის ან სხვა უკანონო მოქმედებების შესახებ და შეუძლია გამოიყენოს ინკასირების სამსახური ფულის დასაბრუნებლად. თუმცა, არცერთ შემთხვევაში, კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი საკრედიტო ბარათების უნებართვო გამოყენებაზე, მიუხედავად იმისა საკრედიტო ბარათები გამოცხადებულია მოპარულად თუ არა.

39. კომპანია უფლებას იტოვებს დაარიცხოს გადარიცხვის საკომისო მომხმარებელს, თუ მის ანგარიშზე ერთ რეგიონში შეიტანენ თანხას და ამ თანხის უცვლელი სახით გატანას ანგარიშიდან იგი მოითხოვს მეორე რეგიონში.

40. მომხმარებლებს შეუძლიათ ჩამოტვირთონ და გაეცნონ საიტზე Crystalbet.com განთავსებულ, შემოსავლების სამსახურის მიერ ბოლოს დადასტურებულ რეგლამენტს.

41. მომხმარებელი საიტზე შესვლით ეთანხმება შემოსავლების სამსახურისთვის ბოლოს წარდგენილ და დადასტურებულ რეგლამენტს, რომელიც განთავსებულია საიტზე.

42. იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ-სამორინეში არსებულ რომელიმე თამაშობის წესებში, მინიმალურ/მაქსიმალურ ფსონად და მაქსიმალურ მოგებად თანხის მოცულობა მითითებულია დოლარში „\$“ იგულისხმება რომ ხდება ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში არსებული თანხის კონვერტაცია. ანგარიშზე არსებულ ლარსა „ლ“ და პირობით ერთეულ „\$“-ს შორის კონვერტაციის კურსი განისაზღვრება წინასწარ და ის დგინდება საქართველო ეროვნული ბანკის მიერ მოცემულ დღეს GEL-სა და USD-ს შორის გაცვლითი კურსით.

განსაკუთრებული პირობები

1. ნებისმიერი ტექნიკური თუ მექანიკური ხარვეზი განიხილება როგორც შტატგარეშე გარემოება და ამ შემთხვევაში ინტერნეტ-სამორინე „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. გადახდის დროს ნებისმიერი გაუმართაობის შემთხვევაში „კომპანია“ მხარეს, უქმდება ყველა გადახდა/MalfunctionVoidsAllPays.

2. ნებისმიერი თანხის შესახებ ინფორმაცია ინახება „კომპანია“-ს მონაცემთა ბაზაში და სადაო საკითხის განხილვის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონულ არქივში შენახულ და დაცულ ჩანაწერს.

3. წინამდებარე წესებით გაუთვალისწინებელი დავის წარმოქმნის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ნებისმიერი სადავო სიტუაციის წამოქმნის შემთხვევაში, კრისტალბეთს უფლება აქვს დააყადლოს მომხმარებლის ბალანსზე არსებული თანხა ასეთი სადავო სიტუაციის ამოწურვამდე ან ნებისმიერი სახით გადაწყვეტამდე.

4. „კომპანია“ იტოვებს უფლებას, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები წინამდებარე წესდებაში, რომელიც წერილობითი ფორმით შეთანხმებული იქნება შემოსავლების სამსახურთან. ცვლილებები გამოქვეყნდება საიტის ვებ გვერდზე.

5. მხარეები არ აგებენ პასუხს წინამდებარე ვალდებულებების შეუსრულებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) გარემოებებით, და რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეებზე. კერძოდ, სტიქიური უბედურებები, ავარიები, ხანძრები, მასობრივი არეულობები, სამხედრო მოქმედებები, კარანტინის გამოცხადება ან სხვა სახის უბედურებები, რომლებიც ხდება იმ რაიონებში, რომლებიც ოფიციალურად ითვლებიან ზემოხსენებული მოვლენების გავლენის ქვეშ. ასეთ შემთხვევაში, კომპანია არ აგებს პასუხს მომხმარებლის მიერ განცდილ დანაკარგებზე.

6. კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მომხმარებლის წინაშე, თუ მის მიერ განცდილი ზარალი გამოწვეულია ორგანიზაციის ან მომხმარებლის პროგრამულ უზრუნველყოფაში ნებისმიერი უნებართვო შეღწევით ან ზეგავლენით, რომელიც შეიძლება იყოს, მაგრამ არ შემოიფარგლება პროგრამული ვირუსებით, პროგრამული უზრუნველყოფის თუ მის მატარებელ მოწყობილობებზე ნებით თუ უნებლიეთ ზემოქმედებით, რასაც შედეგად დროის მცირე ან დიდ მონაკვეთში მისი გაუმართავი ან გაუთვალისწინებელი ოპერირება მოჰყვება.

7. საიტზე განთავსებულ თამაშებთან დაკავშირებით შესაძლებელია მომხმარებელს მოუწიოს იმ წესების გაცნობა და დათანხმება, რომლებიც თვითონ ამ თამაშების მომწოდებლების მიერ არის შედგენილი; იმ შემთხვევაში, თუ ერთდაიგივე სიტუაციას კომპანიის და მომწოდებლის წესები სხვადასხვანაირად არეგულირებს, უპირატესობა ენიჭება ორგანიზაციის წესებს ჩვენი და მომხმარებლის ურთიერთობის დასარეგულირებლად.

დავები და საჩივრები

1. ინტერნეტ-სამორინეს სერვერზე არსებული თამაშობებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის პრეტენზია მიიღება თამაშის დასრულებიდან 7 დღის განმავლობაში. სადაო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ელექტრონულ ბაზაში დაცულ და შენახულ მონაცემებს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი პრეტენზიები არ განიხილება.

2. იმ შემთხვევაში, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია და წინამდებარე წესებში აღწერილი არ არის, მოთამაშე ვალდებულია დაეთანხმოს ორგანიზაციის დირექციის გადაწყვეტილებას. სხვა შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კომპანია ვალდებულია იღებს კონფიდენციალურად შეინახოს ყველა ინფორმაცია მოთამაშეებზე და ფსონებზე.
4. ეს წესი არ ვრცელდება ორგანიზაციის უფლებაზე მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია იმ იურიდიულ პირებს, რომლების მეშვეობითაც რიცხავს მომხმარებელი თანხას ბალანსზე, ხოლო კომპანია უნაღდებს მოგებას ან უბრუნებს თანხას მომხმარებელს. ასევე, თუ აღნიშნული ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა კომპანიიდან ოფიციალური შეტყობინების გზით საგამომიებო, სასამართლო, საგადასახადო ან ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნასა და მიღებაზე უფლებამოსილი სხვა ორგანოების მხრიდან.
5. ნებისმიერი პრეტენზიის წარმოშობის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია იღებს პირველ რიგში შეატყობინოს ამის შესახებ ინტერნეტ-სათამაშო აპარატების სალონს და საშუალება მისცეს მას განიხილოს და გასცეს პასუხი საიტის ტექნიკური გუნდის ან კომპანიის შიგნით არსებული სხვა მექანიზმების საშუალებით. თუ მომხმარებელს არ დააკმაყოფილებს ქოლ-ცენტრის მიერ გაწეული მომსახურება და კვლავ გააჩნია პრეტენზია კომპანიის მიმართ, განხილვის მეორე ეტაპის დასაწყებად, თამაშის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში მომხმარებელი ვალდებულია შპს „მარსის“ დირექტორის სახელზე დაწერილი განცხადება წარმოადგინოს შპს „მარსი“-ს ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №5, ან გამოგზავნოს ფოსტით, ან ელ-ფოსტით მისამართზე: **Info@crystalbet.com**. შპს „მარსის“ ადმინისტრაცია პრეტენზიას განიხილავს მისი წარმოშობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და გადაწყვეტილებას აცნობებს მომხმარებელს მისი მიღებისთანავე წერილობითი სახით, განცხადებაში მითითებულ მისამართზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია აღარ განიხილება. თუ მომხმარებელს ეს პასუხიც არ დააკმაყოფილებს, მას წარმოუშვება უფლება მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მექანიზმებს დავის გადასაჭრელად.
6. ჯეკპოტის გათამაშებისას, ჯეკპოტის თანხის მოსაგებად ანდა იუზერის ანგარიშიდან გასატანად მომხმარებელმა წინასწარ უნდა გაიაროს სრული ვერიფიკაცია. სრული ვერიფიკაციის გასავლელად საჭიროა, გაიაროთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და ტელეფონის ნომრით ვერიფიკაცია.
7. ონლაინ სამორინეს, Crystalbet Casino-ს რულეტკების თამაშებში ჯეკპოტის გათამაშების დროს მომხმარებლებზე ჯეკპოტის თანხის ანულირება ხდება თუ მოთამაშე შემჩნეულია არაკეთილსინდისიერ თამაშში რაც მოიცავს შემდეგ შემთხვევებს:
 - თუ გამოვლინდება რომ ერთი და იგივე პიროვნება თამაშობს რამოდენიმე ექსპანთით, იმისდა მიუხედავად თუ რა აიპი მისამართიდან არის შემოსული ეს ექსპანთები.
 - მომხმარებლები რომლებიც რულეტის დაფის ყველა ციფრზე განათავსებს ფსონს.
8. კომპანია უფლებას იტოვებს თავისი შეხედულებისამებრ ჩამოაჭრას დარიცხული ჯეკპოტის თანხა ყველა მსგავს შემთხვევაში და ასევე სხვა ლოგიკურად დაკავშირებულ შემთხვევებში.

შპს „მარსი“-ის დირექტორი:

ჯაბა პეიტრიშვილი

